წელიწადი მესამე

ფასი 10 კაპ.

კვირა, 19 თებერვალი, 1917 წ.

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი, სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 30 კ., უკანასკნელზე—20 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ეღირება 50 კ. 4-ზე 30 კ., ტექსტში—80 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 6 მ.; 20×2 ღირს 8მ., 25×2 ღირს 10მ. 3 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ეღირ. მეტი.

დამატებიანი № ღირს ყველგან 10 კაპ.

№ 39

ყოველდღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

№ 39

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაზეთი
„საქართველო“
ყოველკვირეულ სურათებიან დამატებით ღირს:

მთელის წლით—15 მ., $^1/_2$ წლით—9 მ., 3 თვით—5 მ., 1 თვით—1 მ. 80 კ.

წლიურ ხელის მოწერის ფასი შეიძლება ნაწილ-ნაწილად იქნას გარდახდილი შემდეგის წესით: ხელის მოწერის დროს—7 მ.; 1 მარტისთვის 5 მ. დ 1 ივნისისათვის 3 მ. მისამართის გამოცვლისათვის ქალაქგარეთელმა ხელის მომწერმა უნდა წარმოადგინოს 50 კ. ფოსტის მარკით.

რედაქციის მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქუჩა № 4, ანუ ფოსტის ყუთი № 76 (почт. ящикъ № 76).

კანტორა ღიაა: დილით 9—3 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე.

1 თებერვლიდან წლის ბოლომდე გაზ. „საქარ.“ ეღირება 13 მ.—75 კ.

ვისაც სურს ხელისმოწერის ფასის განაწილებით ისარგებლოს, ხელის მოწერისათანავე 5 მ. 75 კ. უნდა წარმოადგინოს, დანარჩენი კი 1 მარტს და 1 ივნისს, უკვე გამოცხადებულის საერთო წესის სიხედვით.

რედაქტორი: სანდრო შანშიაშვილი.

გამომცემელი: ამხანაგობა „საქართველო“.

ნინო ივანეს ასული ალშიბაიასი და გიორგი ნესტორის ძე ალშიბაია გულწრფელ მადლობას უცხადებენ ყველას, ვინც პირადად დასწრებით ან დეპეშით და ან წერილით თანაუგრძნეს და ანუგეშეს გულდათუთქული მშობლები თავიანთ ძვირფას ასულის

თინას

უდროოდ დაკარგვისა გამო.

(1—532—1)

კვირას, 19 თებერვალს, პეტრე-პავლეს ეკლესიაში დანიშნულია წელიწადნახევრის თავზედ წირვა და პანაშვიდი უდროოდ დაკარგულ თბილისის მეხუთე სავაჟო გიმნაზიის მოწაფის

დიმიტრი (მიტუშა) ივანეს ძის
მიქამის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ ღრმად დამწუხრებული მშობლები ივდითი მახარობელას ასული და ივანე როსტომის ძე მიქაძენი და შვილები მათი: მარიამ, თამარი, ნინო, ელენე, ნიკოლოზ და ჟორჟიკა.

წირვა დაიწყება 10 საათზედ. (2—582—2)

განცხადება

„ახალ კლუბის“ მამასახლისთა საბჭო

ამით აუწყებს კლუბის წევრთ, რომ ნაცვლად 8 ამა თებერვლისა,

წლიური საზოგადო კრება

დაინიშნა ამავე თებერვლის 22 საღამოს 9 საათისათვის.

კლუბის წესდების მე-29 მუხლის თანახმად კრება კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

განსახილველი საქმეებია: 1) მიმდინარე საკითხები, 2) წესდების რამდენისამე მუხლის შეცვლის შესახებ, 3) განხილვა და დამტკიცება 1916 წლის ანგარიშისა, 4) განხილვა და დამტკიცება 1917 წლის შემოსავალ-გასავლის აღრიცხვისა და 5) არჩევნები მამასახლისთა, მათის კანდიდატებისა, სარევიზიო კომისიის წევრებისა და კლუბის წევრთა და მუდმივ მოსიარულეთა.

(3—579—2)

კინო-პალასი
20, 21 და 22 თებერვალს

✦ ✦ ✦ მხოლოდ მოზრდილთათვის ✦ ✦ ✦

„მიწის ყმები“
ანუ რაც მილიონებზე ძვირია“,

კინო-რომანი 2 სერიად ანატოლ კამენსკისა. მთავარ როლების ამსრულებელნი: ვ. ვ. კავეცკაია, მ. თამაროვი, კ. ლ. გრეკოვი. დადგმული ვიაჩესლავ ტურჟანსკის მიერ.

1 სერია: „ქალის ხარჯით მცხოვრები“ (4 ნაწილი)

ნაწილი 1: რამპის გადაღმა.

ნაწილი 2: „უცაბედობა“.

ნაწილი 3: „სიყვარულის განთიადი“.

ნაწილი 4: „ადამიანები და ვნებათა ღელვანი“.

ჩაბარება წმ. გიორგის დროშისა ქართველ დრაგუნთა პოლკისთვის.

(გარდაღებული სურათები სამხედრო-ისტორიულის განყოფილების უფროსის, პოლკოვნიკ ესაძის მიერ).

1) უავგუსტოესი მთავარსარდალი ულოცავს ქართველ დრაგუნთა შესვლას სახელოვან რუსის ჯარში და მასთან შეერთებას.

2) თავადი დ. ე. ხოლოყაშვილი ულოცავს გზას დრაგუნებს და ურჩევს შეუდგნენ კვალს დიდებულ წინაპართა საომარ ცნებას.

3) თბილისის მოურავი ა. ხატისოვი შიეგებება ქალაქის სახელით და მიუბოძებს ქართველებს დროშას, შემკულს სახელით და სისხლით წინაპართა.

4) უავგუსტოესი მთავარდალი გაუშვებს დრაგუნებს საცერემონიო მარშით.

5) ქართველ დრაგუნთა პოლკის ოფიცრები. (1—537—1)

განცხადება.

მოკლე ხანში მ. ო. არამიანცის სახლში, გოლოვინის პროსპექტისა და ბარიატინსკის ქუჩების კუთხეში გაიხსნება ტეხნიკის უკანასკნელ სიტყვის თანახმად საუცხოვოდ მოწყობილი

კინო-თეატრი

„მინიონი“

თეატრის დირექცია პირობით შეეკრა კავკასიის ერთ დიდ გამქირავებელ კონტორას, რომელიც გამოუგზავნის სურათებს მსოფლიო გამოჩენილ არტისტთა მონაწილეობით დადგმულებს.

გახსნის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

თბილისის ქართულ
ფილარმონიულ საზოგადოების

სამუსიკო სკოლა

მოწაფენი მიიღებიან 4 იანვრიდან ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10-დან—2-მდე და საღამოს 5—7-მდე. სწავლა დაიწყება 7 იანვრიდან.

—— **მისამართი:** სლეპცოვის ქუჩა, № 4. ——

სიმღერის მასწავლებლად მოწვეულია გ. ი. კირილოვისა. (5—353—4)

ახალი კლუბი
ერთი კვირის პროგრამა

ორშაბათს
სინემატოგრაფი,
სიმებიანი ორკესტრი

სამშაბათს
ოპერეტა
ბილეთების ფასი 3 მან.—1 მან.-დე.

ოთხშაბათს
სინემატოგრაფი,
სიმებიანი ორკესტრი.

ხუთშაბათს
ქართული წარმოდგენა.

პარასკევს
სინემატოგრაფი,
სიმებიანი ორკესტრი.

შაბათს
რუსული წარმოდგენა

კვირას
დილით
სამუსიკო დილა
ქართულ ფილანტ. საზოგადოებისა.
საღამოთი
ოპერეტა

დასაწყისი: კონცერტებისა საღამოს 9 საათზე.
წარმოდგენებისა და სინემატოგრაფისა „ $8^1/_2$ საათზე.

სტუმრები იხდიან კლუბში შესასვლელ ფასს: მამაკაცები 1 მან., მანდილოსნები და სტუდენტები (ფორმით) 50 კაპ.

ექიმი კბილისა
ე. ივ. გალარჯაშვილი-მათეშვილისა

იღებს ავადმყოფებს:
დილით 9—2 საათ. საღ. 5—7 საათ.
ჩერქეზიშვილის და რეუტოვის ქუჩის კუთხე № 20.

ექიმი
მ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

ექიმი
ივანე თიკანაძე

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: კიროჩნის ქუჩა, 18
ტელეფონი № 11—82.

ექიმი
ე. ლ. შალამბერიძე

იღებს საბებიო და საშვილოსნოს ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 7.

ექიმი
მ. ი. ვაჩნაძე

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. (თ.—202—)

ექიმი
ფონ-ირტელი

(მიხეილოვის პროსპ. 128, კრილოვის ქუჩის კუთხე, 1, შესავალი კრილოვის ქუჩიდან, სახლი ოჰანეზოვისა).

მოსკოვის სახაზინო საავადმყოფოს უფროსი ორდინატორი, სპეციალისტი დოსტაქრობისა, საშარდე მილისა, სქესობრივი ორგანოებისა, სიფილისისა და მის შედეგებისა (საშარდე მილის დავიწროება), სქესობრივი უძლურებისა, სიმსივნისა, ჭრილობისა, ბუასილისა, თეთრანასი, საშარდე ბუშტის სნეულებისა და საშვილოსნოსი. ორივე სქესის ავადმყოფების მიღება ხდება დილის $9^1/_2$-დან 1 საათამდე და ნაშუადღევის 5—9 საათამდე.

ერლიხის „914“ და „606“
შეშხაპუნება

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

ახალი აფთიაქი

პროვიზორის ახვლედიანისა

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
კალანდარიშვილი

უმცროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებებზე ავადმყოფებს მიიღებს ოლღას ქ. № 3.

მოწოდება

კავკასიის სამხედრო საზოგადოება ინვალიდთა დახმარებისა

მის საპატიო თავმჯდომარის კავკასიის ლაშქრის უავგუსტოესის მთავარსარდლის, მის იმპერატორებითის უდიდებულესობის დიდის მთავრის ნიკოლოზის ძის ნებართვით, საზოგადოების საშუალებათა გასაძლიერებლად, ამ წლის 19 თებერვალს, თბილისში სახელმწიფო თეატრში იმართება ტრადიციული მე-9 კავკასიური საინვალიდო საღამო.

შედარებით ნორჩ „კავკასიის სამხედრო საზოგადოების ინვალიდთა დახმარებისას“ იმავ თავითვე დიდის თანაგრძნობით ეკიდებოდა ადგილობრივი და სამოქალაქო საზოგადოება, დიდის ხალისით ესწრებოდა ინვალიდთა სასარგებლოთ გამართულ საღამოებს 1908 1916 წ.წ. ამის წყალობით საზ-ბამ ერთბაშად შეიძლო პრაქტიკულათ განხორციელება თვისის მიზნისა—დახმარებოდა კავკასიის ინვალიდთ, თავიანთის შრომით თავის რჩენის საშუალებას მოკლებულთ, დახმარებოდა დაჭრილთ, რომელნიც დასახიჩრებულან სამსახურის დროს, დახმარებოდა გიორგის კავალრებს მათის ეროვნებისა და სარწმუნოების მიუხედავათ. სა-ბა არა მარტო ერთდროულათ ეხმარება ინვალიდთ, არა მარტო თვიურ პენსიებს იძლევა, არამედ ცდილობს შემწეობა აღმოუჩინოს მოთავსებულთ კავკასიის ინვალიდთა სახლშიაც, სადაც 25 ადგილია ამათთვის დათმობილი.

თანამედროვე სახელმწიფოთა ისტორიაში ართქმულმა ომმა მჭიდროდ შეაკავშირა საზოგადოების ყველა ძალნი დაჭრილთა და დასახიჩრებულთა დასახმარებლად; ყველას უხვად მოაქვს შესაწირავი და ამ სიუხვისა და მთავრობის მხრივაც დახმარების აღმოჩენის წყალობით, როგორც თვით დაჭრილთ, ისე ჯარში გაწვეულ მეომართა ოჯახობათ ჯერ-ჯერობით არაფერი აკლიათ.

მაგრამ განვლენ წელიწადნი, ცხოვრება ჩვეულებრივს კალაპოტში ჩადგება და სიმწვავე ომიანობისა დაყუჩდება, მაშინ ისინი, ვისაც მთელ ორის წლის განმავლობაში გული მტრისათვის ჰქონდა შეშვერილი ბრძოლის ველზე ჩვენდა საკეთილდღეოდ, უფლება ექნებათ საზოგადოებას მოსთხოვონ დამსახურებული დახმარება.

კავკასიაში ჯერჯერობით ერთადერთი დაწესებულებაა, რომელმაც მიზნად დაისახა ინვალიდთა დახმარება,—„ინვალიდთა დახმარების კავკასიის სამხედრო საზოგადოება“ არის, რომელმაც დაიწყო მოქმედება თბილისში 1908 წ.

ცენტრალური გამგეობა დარწმუნებულია, რომ ყველანი, წინაწლების მსგავსად, ამ ხელადაც თანაგრძნობით მოეკიდებიან დიდათ მოყვასთმოყვარულ აზრს ინვალიდთა საზოგადოებისას, დაესწრებიან ინვალიდთა საღამოს და ამით ხელს შეუწყობენ ინვალიდთა სა—ბის განზრახვათა ასრულებას: გაკითხვას უპატრონოდ შთენილ ინვალიდთა, რომელნიც დაუძლურდნენ და წაერთვათ უნარი სამხედრო ბრძოლისა სადიდებლად ჩვენის ძვირფასის მამულისა, მის თავისუფლებისა და სახელისათვის.

წინათ და ეხლა

ჩვენი კურთხეული სახელმწიფო ლათინურ არაკის შაშვს მოგვაგონებს, გალიაში თავი ფხიზლად რომ ეჭირა—არ დამიჭირონ და თავისუფლება არ წამართვანო. დაგვიანებულია რუსეთის მთ. ფაცა-ფუცი, ქვეყნის ეკონომიურათ აყვავებისთვის გაწეული. დღევანდელს გასაჭირს ის ველარ დაედება მალამოდ. კიდევ კარგი, მომავლისთვის გაკვეთილად თუ გამოდგა განვლილი განსაცდელი. ვინ იცის, რუსეთს ასეთი გაკვეთილები წინედაც მიუღია, მაგრამ ამას მისთვის უნაყოფოდ ჩაუვლია. მთელმა მეცხრამეტე საუკუნემ, რომლის განმავლობაში ევროპის სახელმწიფოებმა შეჰქმნეს და განამტკიცეს თავისი ეკონომიური და კულტურული ძლიერება, რუსეთისთვის უნაყოფოდ განვლო. მისი სახელმწიფოებრივი ძალა დაძველებული წესების დაცვასა და ახალ, ხშირად უდაბურ მიწების დაპყრობას ხმარდებოდა. პოლიტიკური, ეკონომიური შემოქმედება და წინსვლა დათრგუნვილი და დახშული იყო.

ამ ერთი საუკუნის წინედ ევროპის ლაშქრობა რომ შემოიჭრა რუსეთის შუაგულში ნაპოლეონის მეთაურობით, რუსეთი ისევე დაუპირდაპირდა ევროპას, როგორც დღეს. ამ დაპირდაპირებას სრულებით არ გამოუაშკარავებია მნიშვნელოვანი რამ კონტრასტი ამ ორ სამყაროთა შორის. ნაპოლეონის მხედრობა მოისწრაფვოდა რუსეთის შუა გულში მრავალ გამარჯვებებით გაამაყებული და გაზვიადებული. მას მეთაურობდა მთავარსარდალი, რომელსაც დამარცხება ჯერ არ განეცადა, რუსეთის ჯარიც გამამაცებული იყო თავის კერის სიახლოვითა და მეფისადმი ერთგულებით. მისი სარდლები საფრანგეთის კულტურაზე იყვნენ აღზრდილი და ფრანგ პოეტებს და ფილოსოფოსებს თვით ფრანგებზე ნაკლებ არ იცნობდნენ. იარაღიც მათ ერთგვარი ჰქონდათ—პირწამლიანი თოფები და ასეთივე ზარბაზნები. ევროპა და რუსეთი ერთმანეთს თანაბარის ძალებით შეებნენ და ამ შეხვედრას არ დაუმცირებია არც ერთი და არც მეორე.

ამის შემდგომ განვლო საუკუნენ და ამ ხნით რუსეთსა და ევროპას ერთნაირად არ უსარგებლნია. დღეს აშკარავდება განვლილი ცოდვები და შეცთომები. ევროპას ნაპოლეონის დროის სიცხოველე შემდგომაც შერჩა. ამოძრავებულმა ერებმა თავისი სულიერი და ფიზიკური ძალა კულტურულსა და ეკონომიურს საქმიანობის ასპარეზზე გამოიყენეს. ხალხის ასეთს თვითმოქმედებას, სახელმწიფომ ბრძოლა კი არ გამოუცხადა, არამედ ხელი შეუწყო მას. ევროპის სახელმწიფოები გამრავლდნენ ნივთიერად, დაწინაურდნენ კულტურულად. უდიდესი ნავთსადგურები, რკინის გზები, ქარხნები და ფაბრიკები ისევე მრავლად მოეპოვება მათ, როგორც უნივერსიტეტები, აკადემიები და მუზეუმები. და ეხლა რომ ხელახლა შეეყარა ევროპა რუსეთს, მათს შორის უფრო დიდია კონტრასტი, ვინემ ამ ასი წლის წინეთ იყო. რუსეთის ხალხი ისეთივე დარჩა, როგორც იყო ამ ასის წლის წინეთ. მას არ შეუთვისებია ახალი რამ სწავლა, განათლება.

სახელმწიფო ხელს კი არ უწყობდა მის გათვითცნობიერებას, არამედ ებრძოდა მას. გაუნათლებელი ერი დარჩა უმოქმედო, უმოძრაო, უმწეო და უძლური ეკონომიურ ასპარეზზეც. ეკონომიური სიბეჩავე ისევე ახასიათებს თანამედროვე რუსეთს, როგორც უმეცრება და კულტურული უმწეობა.

და როდესაც ერთ საუკუნის შემდგომ ევროპა და რუსეთი ერთმანეთს პირისპირს შეხვდენ, ამ ორ ქვეყნის შორის დიდი უფსკრული აღმოჩნდა გათხრილი. რუსეთი ბევრად არაფრით გამოცვლილა არც ეკონომიურად და არც პოლიტიკურად, თუ კულტურულად. ევროპა შემოსილი აღმოჩნდა ეკონომიური ძლიერებით, ტეხნიკური და სამხედრო სწავლა-განათლებით. მას ერთნაირად ხელს უწყობს მთავარსარდალთა სამხედრო ხელოვნება და ტისსენის, თუ კრუპის სამრეწველო შემოქმედება.

ე. მალი.

ეროვნული სახელმწიფო თუ ზეეროვნული ფედერაცია?

შეუძლია თუ არა პატარა ერს დამოუკიდებლად არსებობა? რომელი მიდრეკილება სჭარბობს თანამედროვე საზოგადოებაში—ეროვნებათა გამიჯვნა თუ ეროვნებათა გაერთიანება? ეს საკითხი რავდენჯერმე წარმოსდგა ომის განმავლობაში. ბოლო დროს განსაკუთრებული თეორეტიული ძიების საგნადაც გახდა. ორმა პოლიტიკურმა მოღვაწემ, გერმანელმა რადიკალმა ფრიდრიხ ნაუმანმა და გერმანელმა სოციალ-დემოკრატმა კარლ კაუცკიმ ცალკე წიგნები უძღვნეს ამ

საკითხს. მათი პასუხი სავსებით ეწინააღმდეგება ერთი-მეორეს.

ფრიდრის ნაუმანი ამტკიცებს, რომ დიდმა ევროპიულმა ომმა პატარა ერების უმწეო მდგომარეობა გამოაშკარავა. ბელგია, სერბია, შავი მთა, პოლონეთი განადგურდა. შვეიცარია ომში არ ჩარეულა, მაგრამ მაინც დიდათ იტანჯება სურსათის უქონლობისა და მუდმივი შიშის გამო. მაგრამ არა თუ პაწია ერებს, დიდს ეროვნულ სახელმწიფოებსაც უპირო განცალკევებით ყოფნა. ეროვნულმა სახელმწიფომ არსებითად კიდეც მოსჭამა თავისი დრო. დედამიწის ზურგზე სამი დიდი ზეეროვნული სახელმწიფო წარმოიშვა, შეერთებული შტატები, ბრიტანეთის იმპერია და რუსეთი. დიდათ სახიფათოა ამ ბუმბერაზების გვერდზე ყოფნა. გერმანიამ და მისმა მოკავშირეებმა დიდი ზეეროვნული ფედერაცია უნდა შეადგინონ თუ სურთ პოლიტიკური და ეკონომიური დამოუკიდებლობის შენარჩუნება. ეს ფედერატიული სახელმწიფო საშუალო ევროპის ტერიტორიას შემოფარგლავს: შიგ შევა გერმანია და ავსტრია-ჰუნგრეთი უწინარეს ყოვლისა; შემდეგ ბულგარეთი და ოსმალეთი; ბოლოს შეიძლება ჰოლლანდია, დანია და სკანდინავიური სახელმწიფოებიც. საშუალო ევროპას ერთი სავაჭრო უფლება ექნება, ერთი საბაჟო და სარკინიგზო პოლიტიკა. მისი ჩრდილო საზღვარი ყინულიან ზღვებს მიებჯინება, ხოლო სამხრეთის მიჯნა თბილ ოკეანეს: ამ საზღვრებს შორის სხვა და სხვა ზონა მოექცევა, ტროპიკული, ზომიერი, გრილი, და ეს გარემოება ნიადაგს შექმნის დამოუკიდებელი ეკონომიური ცხოვრებისთვის.

ნაუმანის იდეებს ბევრი მომხრე აღმოუჩნდა გერმანიაში. განსაკუთრებით იმპერიალისტურ წრეებში. ბოლო დროს რამდენიმე პრაქტიკული ნაბიჯიც გადაიდგა მათ განსახორციელებლად. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი ეკონომიური კონფერენციებია, რომელიც ბერლინსა, ვენასა და ბუდაპეშტში შესდგა საერთო საბაჟო პოლიტიკის შესამუშავებლად.

კაუცკი ამტკიცებს, რომ ნაუმანის შეხედულებები არ ეთანხმება არც სინამდვილის ტენდენციებს, არც დემოკრატიულ იდეალებს. ეს შეხედულებები უფრო იმპერიალისტური სულისკვეთებითაა ნაკარნახევი. შემცდარია ის აზრი, თითქო მსოფლიო მეურნეობა აუცილებლად მსოფლიო სახელმწიფოების დაარსებას იწვევდეს. პირიქით, უკანასკნელ საუკუნეში ეროვნებათ გამიჯვნა ხდება და ზეეროვნულ სახელმწიფოების ადგილს ეროვნული სახელმწიფოები იჭერს. ამ მიდრეკილებას მოწმობს იტალიისა და გერმანიის გაერთიანება, ბალკანეთის ერების განთავისუფლება, ჰუნგრეთისა და ნორვეგიის გამოყოფა. ეს განვითარება ჯერ კიდევ არ დამთავრებულა, ამიტომ ინგლისისა, რუსეთის და შეერთებული შტატების მაგალითი საბუთად არ გამოდგება. არ ვიცით, ხვალ რა სახეს მიიღებს თვითეული მათგანი. მოსალოდნელია, რომ დანაწილების პროცესი მათაც მოედება. ესეც არ იყოს, ინგლისი, შეერთებული შტატები და რუსეთი დღესაც უფრო ეროვნულ სახელმწიფოებს ჰგვანან, ვიდრე ზეეროვნულ ფედერაციებს. მართალია შეერთებულ შტატებში რამდენიმე ტომის ხალხია არეული, მაგრამ ეს ტომები ფედერატიულად შეკავშირებულნი როდი არიან. გერმანელები, ირლანდიელები, იტალიელები, სლავიანები ადვილად ითქვიფებიან ინგლისურად მოლაპარაკე მასსაში და ერთს გამოკვეთილს ეროვნულ ტიპს ჰქმნიან. დიდი ბრიტანეთის იმპერიაში 62 მილიონი ინგლისელი სცხოვრობს. ამას გარდა იმპერიაში ორი მილიონი სამხრეთ აფრიკელი ბური და ორი მილიონი კანადელი ფრანგია. დანარჩენი ერები ნაკლებ კულტურიანნი არიან და ინდოეთი, ეგვიპტე, შუაგული აფრიკა ინგლისის კოლონიებს წარმოადგენს და არა მის სრულუფლებიან მოკავშირეებს. იგივე ითქმის რუსეთის აზიურ სამფლობელოზე. რუსეთში ერთი მრავალრიცხოვანი ერია გაბატონებული: სახელდობ ველიკორუსები. ესეც არ იყოს ეს ნახევრად აღმოსავლეთური სახელმწიფო არ გამოდგება თანამედროვე საზოგადოებრივი ტენდენციების ნათელსაყოფად.

დიდს ევროპიულ ომს სრულიადაც არ დაუმტკიცებია ეროვნული სახელმწიფოს დრო გადასულობა. არც ის გამოუაშკარავებია, თითქო პატარა ერი უფრო უმწეო მდგომარეობაში იყოს ვიდრე დიდი ერი. პოლონეთის, სერბიის, ბელგიის უბედურება მათ გეოგრაფიულს მდგომარეობაშია და არა მათ სიპატარავეში. თანამედროვე ომმა ჩრდილო საფრანგეთი, გალიცია, აღმოსავლეთი პრუსია და კურლიანდია გაანადგურა, თუმცა ეს კუთხეები დიდს სახელმწიფოებს ეკუთვნიან, პირიქით ზოგიერთი პატარა სახელმწიფო დღეს სახარბიელო მდგომარეობაში იმყოფება თავისი გეოგრაფიული მდებარეობის წყალობით.

მეთვრამეტე საუკუნის დასასრულში პოლონეთი უფრო დიდი და მრავალფეროვანი სახელმწიფო იყო, ვიდრე ავსტრია და პრუსია ერთად, მაგრამ ამ გარემოებამ განაწილებისაგან ვერ იხსნა. მეორე მხრივ ზოგიერთმა პატარა ერმა უფრო მეტი ცხოველმყოფელი ძალა გამოიჩინა, ვიდრე ზოგიერთმა ბუმბერაზმა. ბელგია, ჰოლანდია, შვეიცარია, დანია პატარა სახელმწიფოებია, მაგრამ ეკონომიურად და კულტურულად აზიურ და ნახევრად აზიურ იმპერიებს სჯარობენ.

ამ ფაქტებიდან კაუცკის ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ ახლობელი მომავალი ეროვნულ სახელმწიფოს ეკუთვნის და არა ეროვნებათა კავშირს ან ფედერაციას. მხოლოდ სოციალისტურ საზოგადოებაში მოისპობა ეროვნული წინააღმდეგობა და ეროვნული სახელმწიფო. მაგრამ შორეულ საზოგადოებაში თვით ეროვნული სხვა და სხვაობაც კი შესუსტდება. ხოლო დღეს, როცა ეროვნული კულტურა არსებობს, ეროვნული სახელმწიფო და ეროვნული ავტონომია ის პოლიტიკური ფორმაა, რომელიც ყველაზე მეტად შეეფერება საზოგადოების განვითარებას და დემოკრატიის მოთხოვნილებებს.

ვ. ლედიანი.

ომის ამბები

ბრძოლის ველზე

მთავარ შტაბის ოფიციალ დეპეშის გადმოცემით აღმოსავლეთ ბრძოლის ასპარეზზე, კიმპოლუნგ-იაკობენის შარა გზის ჩრდილოეთით ცხარე ბრძოლაა გაჩაღებული. როგორც ვიცით, წინა დღეს რუსის ჯარმა ზოგიერთა დაკარგული სიმაღლე დაიბრუნა. ეტყობა, ახლა გერმანელთ საპასუხო იერიშები დაუწყვიათ. ამავე დროს მოპირდაპირეს რუმინელთათვის წაურთმევია წინა დღეს დაკარგული ერთი სიმაღლე სოფ. რეკოსთან მდ. ზაბალას ჩრდილოეთით. საზოგადოთ აქ დაწყებული ბრძოლა უფრო ფართო ხასიათს იღებს და ახალ ადგილებშიაც გადადის. შერჩება კვლავინდებურად ამ ბრძოლას ადგილობრივი ხასიათი, თუ გენერალურ ოპერაციის სახეს მიიღებს, ამას ახლო მომავალი გვაჩვენებს. მტრის მეტად მნიშვნელოვან ადგილებში ახმაურდა ბრძოლის ხაზი და საკვირველიც არ იქნება, რომ მოულოდნელად დიდმა ბრძოლამ სწორეთ აქ იჩინოს თავი. ინიციატივა შეტევისა თავიდანვე კიმპოლუნგ-იაკობენის ხაზზე რუსებს ეკუთვნის. უკანასკნელთათვის ეს მიდამო დიდათ მოხერხებული გზაა, როგორც ფართო დემონსტრაციებისათვის, ისე მთავარ შეტევისათვის, მოპირდაპირე, შეიძლება ელოდა რუსეთის სამხედრო შტაბის მხრით და ახლა თვითონვე ლამობს დროზე იგდოს ხელში ინიციატივა და საოპერაციო გეგმა ახლავე ჩაუშალოს.

X.

ომის დეპეშები

17 თებერვალი.

უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.

პეტროგრადი. დასავლეთის ასპარეზზე სროლა და მზვერავთა მოქმედებაა.

რუმინეთის ასპარეზი. იაკობენ-კიმპოლუნგის გზატკეცილის ჩრდილოეთით ბრძოლა გრძელდება. სოფ. რეკოსისთან, მდ. ზავალის ჩრდილოეთით, მოპირდაპირემ სამაგიერო იერიშები მოიტანა რუმინელების მიერ გუშინ აღებულ მაღლობზე. მდ. რიმნიკის ჩრდილოეთით ჩვენმა მზვერავებმა გაანადგურეს მტრის 2 სადარაჯო, ხელთ იგდეს 22 ტყვე და 2 ტყვიისმფრქვეველი.

კავკასიის ასპარეზი. სროლის დროს დაიჭრა პოლკის სახელოვანი უფროსი პოლკოვნიკი მაჭავარიანი.

ინგლისი

ლონდონი. სესსილმა შეკითხვის პასუხად განაცხადა: ძნელია დაწვრილებითი ცნობების მოცემა გერმანეთის გარემოცვის შესახებ, თუმცა მთავრობას საკმაო საფუძველი აქვს იფიქროს, რომ გერმანეთი დიდ გაჭირვებას განიცდის სანოვაგისა და ზოგიერთ მასალების მხრივ.

ლონდონი. საფრანგეთის ასპარეზზე, სიიი-საიზელის ჩრდილო-აღმოსავლეთით 85 კაცი დავატყვევეთ, მათ შორის 2 აფიცერი. ღამე დავიპყარით პომერური. დღეს ავიღეთ სოფ. მილუა, პიუზიომი, და წინ წავიწიეთ პომკურის ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ. გუშინ საღამოს ფლერის მახლობლად ხელთ ვიგდეთ 22 გერმანელი ტყვე. არმანტიერის ჩრდილო-აღმოსავლეთით გერმანელების შემოტევა მოვიგერიეთ.

საფრანგეთი

პარიზი. საღ. ოფიც. ცნობა. შამპანში მოულოდნელი თავდასხმით გერმანელი ტყვეები წამოვიყვანეთ, ტაგიურის არე-მარეში.

პარიზი. დღის ოფიც. ცნობა. ღამე არგონებში და მეტცელაის აღმოსავლეთ მიდამოებში ტყვეები წამოვიყვანეთ.

საბერძნეთი

სოლუნი. საბერძნეთის მთავრობას პელოპონესში ყველა ჯარები არ გადაუყვანია. პეტ. დეპ. სააგენტოს თანამშრომლებს ხელთ აქვს სკოპელოსა და ეპიფანიაში მყოფ მოთადარიგეთა კავშირის თავმჯდომარის ბარათი, საიდანაც სჩანს რომ მათ მიუღიათ 150 თოფი, 7060 პატრონი, 150 პატრონის გოლზი და 5 პატრონის ყუთი.

სოლუნი. მოკავშირეებმა გადასწყვიტეს ძველ საბერძნეთს სანოვაგის საზიდად ოცდა სამი გემი დაუტოვონ, დანარჩენი კი მოკავშირეთა საჭიროებისათვის ჩამოართვან.

ინგლისის ელჩმა სერ ფრენჩის ელლიოტიმ საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ზალოკოსტასს წერილით პროტესტი განუცხადა გაზეთში მოკავშირეთა შესახებ ცილისმწამებელ წერილების დაბეჭდვისათვის. ზალოკოსტასმა განუცხადა, განკარგულება მოვახდინე ეს გაზეთი სამართალში მიეცეს.

ესპანია

მადრიდი. ოფიციალი ცნობა. 500 ტონიანზე მეტი წყალწყვის გემებს უნდა ჰქონდეთ უმავთულო ტელეგრაფი, რომლითაც 100 ვერსზე შეიძლებოდეს ლაპარაკი, აგრეთვე უნდა ჰქონდეთ მოტორიანი ნავები შიგ მსხდომთა გადასარჩენად.

იტალია

რომი. იტალიის ოფიც. ცნობა. ლედროს, ლაგასინის, ზემო აზიაგის ველებში და იულიის ალპების ხაზზე მედგარი სროლა იყო ზარბაზნებისა. აზიაგის ფერდობებზე მტერი იერიშით წამოვიდა, მაგრამ დაზარალებული უკუ ვაგდეთ.

მტრის საფრენები გორიცას ყუმბარებს უშენდნენ. დაჭრილია 4 კაცი. მტრის 2 საფრენს ცეცხლი მოედო, ერთი ბოსკომალეს მახლობლად დაეცა, მეორე დუინოს ჩრდილოეთით.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ამერიკა

შეერთებულ შტატების სამხედრო მინისტრის ანგარიშიდან სჩანს, რომ შეერთებულ შტატების ხმელეთის ჯარი უდრის სულ 167067 მეომარს, აქედან 10526 აფიცერია და 156541 ჯარის კაცი. ეს ჯარი ასეა დანაწილებული: შეერთებულ შტატებში ყოფილა 3622 აფიცერი და 67416 ჯარისკაცი; ალიასკაში 23 აფიცერი და 769 ჯარის კაცი; ფილიპის კუნძულებზე 480 აფიცერი, 11404 ჯარის კაცი და ამათ გარდა ფილიპის კუნძულების იგრედ წოდებული მზვერავთა რაზმები, რომელშიაც ითვლება 182 აფიცერი და 5603 ჯარის კაცი; ჩინეთში 41 აფიცერი და 1233 ჯარის კაცი; პორტორიკოს კუნძულზე 35 აფიცერი 679 ჯარის კაცი; ჰავაის კუნძულზე 333 აფიცერი და 8112 ჯარის კაცი; პანამის არხის მიდამოებში 253 აფიცერი და 6846 ჯარის კაცი; მოსაზღვრე სადგურებზე 56 აფიცერი და 554 ჯ. კ.

ამათ გარდა ეროვნულ მილიციაში ირიცხება 7003 აფიცერი და 133,256 ჯარის კაცი, რომელთა თავმოყრაც ყოველთვის შეუძლიათ.

ამ გვარად ამერიკის ხმელეთის ჯარში სულ ყოფილა 17529 აფიცერი და 289797 ჯარის კაცი.

წყალქვეშ ბრძოლა

ინგლისის თემთა პალატაში კარსონმა მოითხოვა სავაჭრო გემების შეიარაღება. მისი ცნობებით შეიარაღებულ სავაჭრო გემებიდან წყალქვეშა ნავებს გადაურჩა 75 პროცენტი (ასიდან 25 დაღუპულა) შეუიარაღებლიდან კი ასიდან მხოლოდ 25 გადარჩენილა. ამავე დროს კარსონმა განაცხადა, თებერვალში (18 დღის განმავლობაში) 134 სავაჭრო გემი დაღუპეს გერმანელებმაო. ორთაშუა რიცხვით დღეში 7 ნახ. გემი მოდის. წინად კი მხოლოდ 2 ნახევარ. გემი იღუპებოდა დღეში.

„ლლოიდის“ ცნობებით ინგლისს 1916 წელს 10 ათასზე მეტი სავაჭრო გემი ჰქონია. თითო გემზე 4 ზარბაზანი მაინც უნდა დაიდგას, თითო თავსა და ბოლოს, თითოც გვერდებზე. ასე რომ 40 ათასი ზარბაზანია საჭირო. მაგრამ საქმეს ისიც ართულებს, რომ ეს ზარბაზნები გერმანელების წყალქვეშას ზარბაზნებზე ძლიერი უნდა იყოს. გერმანელების წყალქვეშები კი შეიარაღებულია 3—4—5 დიუმიან ზარბაზნებით. მაშასადამე, ინგლისის სავაჭრო გემები 6 დიუმიან ზარბაზნებით მაინც უნდა შეაიარაღონ. შუმსკის აზრით ინგლისელები ხმელეთის ჯარს ვერ მოაკლებენ ზარბაზნებს და ვერც სამხედრო გემებს ააცლიან, რადგანაც ასეთი საშუალო ყალიბის ზარბაზნები სუბუქ კრეისერებისა და ნაღმოსნების წინააღმდეგ საბრძოლველად სჭირდებათ. ცხადია ახალი ზარბაზნები უნდა ჩამოისხას რასაც საკმაო დრო დასჭირდება. ასეთ გემებზე შესაფერი გაწვრთნილი მეზღვაურები და უფროსებიცაა საჭირო. მათ მოსამზადებლადაც საკმაო დროა საჭირო. ისე რომ ინგლისი ერთ დროს შესძლებს გერმანეთის გარემოცვის გაბათილებას, თუმცა ჯერ ჯერობით ეს მოუხერხებელი ხდება.

ახალი არხი.

ბავარიის ლანდტაგმა მოიწონა კანონ-პროექტი, რომლის ძალითაც მდ. დუნაი და მდ. მაინი არხით უნდა შეაერთონ. არხის სიგრძე 760 ვერსი იქნება; იგი 650 მილიონი მარკა დაჯდება. ამ არხს დიდი მნიშვნელობა ექნება სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპასა და აზიასთან აღებ-მიცემობისათვის.

ზავის გარშემო.

ტოკიოს გაზეთი „ნიცი-ნიცი“ ამერიკიდან მიღებულ ცნობას გადმოგვცემს, ვითომც გერმანეთს ჰსურდეს რუსეთთან სეპარატიული ზავი შეჰკრას და მერე შეადგინოს სამთა კავშირი გერმანეთ-რუსეთ-იაპონიისა ინგლისისა და ამერიკის წინააღმდეგ. გაზეთი აღნიშნავს, ეს ცნობა გერმანელების აგენტების გავრცელებულია. ამით ჰსურთ ამერიკელებიც მიიმხრონ და ჩინეთს ხელი შეუშალონ მოკავშირეთა მხარეზე გადასვლაში.

კათოლიკეთა სახელმწიფო.

ბავარიისა და ავსტრიის მეფეებს რამდენჯერმე თათბირი ჰქონდათ ავსტრიისა და ბავარიის გაერთიანების თაობაზე, რათა შეჰქმნან მთლიანი სახელმწიფო გერმანელ კათოლიკებისა. ამ საქმეს დიდის თანაგრძნობით ეგებებიან რომსა, მილანსა და ბერნში. რომის პაპსაც აღუთქვამს ამ საქმეში დახმარება. ამბობენ კაიზერის მთავრობა ყოველის ღონისძიებით სცდილობს ეს არ მოხდესო.

ამერიკის სანოვაგე.

ვაშინგტონიდან დეპეშით იტყობინებიან: ამერიკის სენატში კანონპროექტი შეაქვთ, რათა ამერიკიდან სანოვაგის გაზიდვა აიკრძალოს.

ფეხსაცმელის საქმე.

„ფრანკფურტენ ცაიტუნგ“-ი სწერს: ომიანობის გამო მსოფლიო ბაზარზე, ზავის მერეც 5—8 წელიწადს მაინც დიდი ნაკლებლობა იქნება ფეხსაცმელის ტყავეულობისა. ომის განმავლობაში მხოლოდ ინგლისს დაუმზადებია 21 მილიონი წყვილი ჩექმა ინგლისის ჯარისათვის, 3 მილიონი საფრანგეთის ჯარისათვის, 8 მილიონი რუსეთისათვის და სხვ. სულ 40 მილიონ წყვილზე მეტი. გაზეთის აზრით ტყავეულობა შემოაკლდება ამერიკას და ავსტრალიასაც. რა მდგომარეობაშია გერმანეთი ამ მხრივ გაზეთი არ გადმოგვცემს, თუმცა ვიცით, რომ ომის დაწყებამდე გერმანეთს წელიწადში 380 მილიონ მარკის ტყავეულობა შეჰქონდა სხვა ქვეყნებიდან.

ბრაზილია

ბრაზილიის მთავრობამ ხმელთაშუაზღვაში მონავსონე კრეისერს „სეარა“-ს უბრძანა, დაუყოვნებლივ დაბრუნდეს ბრაზილიაში. „სეარა“ ამჟამად მარსელის ნავთსადგურშია.

ჩინეთი.

მოკავშირეებმა მემორანდუმით მიჰმართეს ჩინეთის პრეზიდენტს: საჭიროა სასწრაფოდ გვაცნობოთ გერმანეთის წინააღმდეგ ომში ჩაებმება ჩინეთი თუ არაო. ჩინეთის რესპუბლიკის უმაღლესი მოხელენი ომში ჩარევის მომხრენი არიან. პრემიერ-მინისტრმა გერმანეთის ელჩი სადარბაზოდ არ მიიღო.

ამბობენ, გერმანელებსაც არა სძინავთ და თუ ჩინეთმა გერმანეთთან დამოკიდებულება შესწყვიტა, იმდენს მაინც მოახერხებენ, რომ სენატი დაათხოვენინონ.

ინგლისის სესხი.

ინგლისის ახალი სესხი 12 მილიარდ მანეთს უდრის.

უკანასკნელი ცნობები

„რუს. ვედომოსტის“ ატყობინებენ: კავკასიის ერობის კანონ-პროექტს გარჩევის შემდეგ დაუყოვნებლივ პალატაში შეიტანენ, რადგან დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე თხოულობს, რაც შეიძლება ერობა მალე იქნეს კავკასიაში შემოღებულიო.

—

შვეიცარიული გაზეთი გადმოგვცემს საფრანგეთ-ინგლის რუსეთის მოლაპარაკების შედეგს ოსმალეთის დანაწილების შესახებ

პირველად მოლაპარაკება ეხებოდა სრუტეებს და კონსტანტინეპოლს. რუსეთის მოთხოვნით საფრანგეთი და ინგლისი 1915 წელს დათანხმდნენ რუსეთისთვის მიეცათ კონსტანტინეპოლი მარმარილოს ზღვის ევროპიულ ნაპირებით და დარდანელი ენოს-მიდიის ხაზამდე. ამის გარდა, რუსეთს აძლევდნენ ემბროსის და ბენედოსის კუნძულებს და მცირე აზიაში ნახევარ კუნძულს, რომელსაც არტყია შავი ზღვა, ბოსფორის და ირმიდის ყურეები აღმოსავლეთით მდინარე საკარიამდე. შესაფერ სწორწონაობისათვის ინგლისი იღებდა სამო-თრაკიას ლემნოსს. დასასრულ, მოხდა შეთანხმება მთლად მცირე აზიის განაწილების შესახებ. რუსეთი მიიღებს ტრაპიზონს და ქურთისტანს, საფრანგეთი—სირიას ადანით და მერსინით ხიავსა და ხარფუთამდე; ინგლისი—მესოპოტამიას, დანარჩენი ნაწილი მცირე აზიისა საფრანგეთის და ინგლისის გავლენის ქვეშ რჩებოდა. პალესტინა საერთაშორისო მფლობელობად ცხადდებოდა. არაბეთი და სხვა ნაწილი, სადაც არაბები მოსახლეობენ, ერთდებოდა ერთ სახელმწიფოს ფარგლებში. ეს სახელმწიფო საფრანგეთ-ინგლისის პროტექტორატობის ქვეშ უნდა ყოფილიყო.

—

ოდესაში პროფესორებსა და სტუდენტებს შორის კონფლიქტი მოხდა. სტუდენტები სამეცადინოთ აღარ შესულან.

ახალი ამბავი

◆ **დამფუძნებელი კრება.** დღეს, 19 თებერვალს, დილის 11 საათზე, ქალაქის საბჭოს დარბაზში დანიშნულია თბილისის სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა მოსამსახურეების კოოპერატივის დამფუძნებელი კრება. უნდა აირჩიონ გამგეობა და სარევიზიო კომისია და განიხილონ უსაჭიროესი საკითხები.

◆ **ტატიანას სახელობის** კომიტეტის გამოფენის მომწყობი განყოფილება სთხოვს დაწესებულებათ და კერძო პირებს, რომელნიც თანაუგრძნობენ ომისაგან დაზარალებულთ, დახმარება გაუწიონ, კომიტეტს ნივთები გაუგზავნონ გამოფენის ლოტარიისათვის, შემოსავალი გადადებულ იქნება ომისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ. მისამართი: პეტროგრადი, საინჟენერო ქუჩა, 22 „სასახლე ხელოვნებისა“.

◆ **ქალაქის გამგეობის** აგენტმა ბ-ნმა დანდუროვმა, გასასყიდი შეშის უკანონოდ დაწყობისათვის საქენებად, ოქმი შეუდგინა: ბ-ნთ დავიდოვს, ტერპოღოსოვს, გიგინეიშვილს, ალამირზაიანცს და ნაცვლაძეს.

◆ **ქალაქის საბჭო** ხვალ, 20 თებერვალს, მოისმენს სასურსათო აღმასრულებელ კომისიის მოხსენებას შესახებ იმისა, თუ რა საშუალებით უზრუნველყოფილი უნდა იქმნან ქალაქის ღარიბი მცხოვრებნი სურსათ-სანოვაგის მხრივ. ეს მოხსენება გამოიწვია ბ-ნ თბილისის გუბერნატორის ცნობილმა წერილმა, რომ ქალაქის გამგეობამ მოაწესრიგოს ეს მწვავე საკითხი და მეც ყოველგვარ დახმარებას აღმოუჩენო.

◆ **ქალაქთა კავშირის** თბილისის განმანაწილებელ პუნქტში საშუალო და დაბალ მოსამსახურეებმა, ნიშნათ პროტესტისა იმის გამო, რომ მათ ცუდათ ასაზრდოვებენ, 17 თებერვალს უარი განაცხადეს საჭმლის მიღებაზე და არ უსადილნიათ. 18 თებერვალს პუნქტში მივიდა ქალაქთა კავშირის თბილისის ქალაქის კომიტეტის თავმჯდომარე ექ. ვესელოვზოროვი და რამდენიმედ დააშოშმინა მოსამსახურენი.

◆ **გაჭირვება სოფლად** თბილისს ჩამოვიდა სოფ. ყალამშას მღვდელი მამა გიორგი ომარაშვილი, რომელმაც გვიამბო, რომ ყალამშასა და ახლო მახლო სოფლებში სრულებით აღარ მოიპოვება არავითარი სურსათი. აქამდისინ აქა-იქ კიდევ შოულობდა კაცი ფუთ ხორბალს 6 მანეთად, მაგრამ ახლა ყველგან გამოლეული არისო. მამა ომარაშვილი თბილისში დაეძებს სურსათს სოფლისათვის.

◆ **შავი ხახადი** („სიპნოი ტიფი“). თბილისში დიდად მოიკიდა ფეხი შავმა ხახადმა. წინა თვეებში ამ საშინელი სენით დაავადმყოფებულნი ბრძოლის ასპარეზიდან მოჰყავდათ, უკანასკნელ ხანად-კი თბილისის მკვიდრთაც მოედვა. გუშინ, 18 თებერვალს, ლაზარეთში № 40 იწვა შავი ხახადიანი 872 კაცი. ამათ შორის 80-მდე თბილისის მცხოვრებნი არიან. გარდა ამისა ლაზარეთ № 37-შიაც არიან მოთავსებულნი შავი ხახადიანები, ბრძოლის ასპარეზიდან ჩამოყვანილნი.

◆ **კრება** დღეს ხუთ საათზე შესდგება ნაძალადევის ქ. შ. წ. კ. გამ. საზ. უფასო სამკითხველოს წევრთა საზოგადო კრება ადგილობრივ (ნაძალ.) თეატრის დარბაზში. კრება უკანასკნელია.

◆ **სატეხნიკო საზოგადოებაში თებერვლის 17 ინჟენ. ეხენმა წაიკითხა მოხსენება.** კავკასიის წყლების სამართველოს გიდრო ტეხნიკურმა განყოფილებამ ცნობები შეჰკრიბა 147 მდინარის შესახებ. მდინარეები რაიონებად არის დაყოფილი შავის ზღვისა, კასპიის ზღვის ნაპირებისა, მტკვრისა და არაქსისა (არეზი). ამიერ კავკასიაში სულ ყოფილა „თეთრი ნახშირი“ 46 მილიონ ცხენის ძალისა. რაოდენობით და ღირსებით (გზები და სხვ.) შავი ზღვის რაიონი მაღლა დგას სხვებზე. რაც შეეხება ჩრდილო-კავკასიას, იქაური მდინარეების „თეთრი ნახშირი“ უდრის 3.6 მილიონ ცხენის ძალას. ამ ჟამად კავკასიის მდინარეთა ენერგიიდან იხარჯება ელექტრონით განათებაზე $2^1/_2$ ათას ცხენის ძალა. წყლის გამგეობაში ბევრი თხოვნა შესულა ენერგიით სარგებლობის შესახებ. მომხსენებელმა ის დასკვნა გამოიყვანა, რომ ამიერ-კავკასიის მდინარეებს ენერგიის მხრივ, არა მარტო რუსეთში, არამედ მთელს ევროპაშიაც, პირველი ადგილი უჭირავსო, ხოლო ექსპლოატაციის მხრივ კი უკანასკნელიო და ამის მიზეზად მომხსენებელმა დაასახელა დაძველებული კანონი საწყლო გამგეობისა. კრების თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მეფის ნაცვალის კანცელარიაში მზადდება ახალი კანონი წყლების შესახებ, მაგრამ ეს კანონიც უნაკლულო არ იქნებაო. კრებამ, ხანგრძლივ კამათის შემდეგ, შემდეგი რეზოლუცია გამოიტანა: 1) წყლის საქმე კავკასიაში ადგილობრივი საქმეა და, როგორც ასეთი, ამის შესახებ საკითხი ადგილობრივ უნდა მოწესრიგდეს, ცენტრალ მთავრობის დამოუკიდებლად; 2) წყლის საქმეს სათავეში უნდა უდგეს მხოლოდ ერთი ორგანო, საქმის ცოდნით აღჭურვილი და 3) კერძო პირთ არ უნდა მიეცესთ კონცესსია წყლის ენერგიით სარგებლობისა.

◆ **შაბიამანი.** მოსკოვის სახალ. ბანკმა დიდძალი შაბიამანი გამოუგზავნა თბილისის საწყობს. ფუთი საწყობში 19 მ. და 60 კაპ. ღირება. შეძენა შეუძლიათ მხოლოთ კოოპერატივებსა და საზოგადოებათ.

◆ **ნაძალადევის** სცენის მოღვაწეთა წრის გამგეობა აცხადებს, რომ დღეს საღამოს $5^1/_2$ საათზე დანიშნულია წრის არაჩვეულებრივი საერთო კრება საკუთარ თეატრის დარბაზში. კრების კითხვები: მოხსენება-ანგარიში წრის მოქმედების შესახებ, ფასების გადიდება ბილეთებზე და სესხის 600 მან. აღება. გამგეობა მოუწოდებს წევრებს აუცილებლად დაესწრნენ კრებას. წევრათ ითვლება ყველა ის, ვინც 1916 და 1917 წელში გადიხადეს საწევრო ფული.

◆ **ბ-ნ ნ. ჩაგუნავას** თაოსნობით, ქართველ მსახიობთა 1 ჯგუფი თებერვლის ბოლო რიცხვებში გაემგზავრება დასავლეთ საქართველოსკენ და ქუთაისსა, ფოთსა, ზესტაფონსა და სამტრედიაში წარმოადგენს ქართულად ბ-ნ ჰაჯ. ბეგოვის ცნობილ ოპერეტკას „არშინ-მალ-ალან“-ს, რომელიც თბილისში მრავალჯერ დადგეს და ყოველთვის აურაცხელი ხალხი დაესწრო.

◆ **ფრესკების გამოფენაზე.** დღეს, კვირას, თებერვლის 1914 საათზე დაიხურება ფრესკების გამოფენა. მხატვრები დამსწრეთ გამოფენილ ფრესკების ისტორიას გააცნობენ.

◆ **ქურდობა.** 15 თებერვალს შუა ბაზარში მცხოვრებ ს. არუტინოვს საკუთარ ბინაზე მოჰპარეს 423 მანეთი და 380 მანეთის ნივთეულობა. 13 თებერვალს სასწავლებლის მოსახვევში 3. სკროდსკის ქალს მოჰპარეს 450 მანეთის ნივთეულობა. პეტროგრადის ქუჩაზე ნინო ოშაკოვიჩისას მოჰპარეს 880 მანეთის ნივთეულობა.

◆ **შეპყრობა.** პოლიციამ შეიპყრო დეზერტირები: ოვანეს ტუმანიანცი, გიორგი ჩხუტაშვილი, ილია პარემანაშვილი, შაქრო დივანოვი და რუბენ ისაკულოვი.

◆ **ცეცხლი.** 15 თებერვალს ჩერქეზიშვილის ქუჩაზე ცეცხლი გაუჩნდა ისაკ ოსიპოვის თავლებს. დაიწვა ათი თავლა და სახლის ერთი ნაწილი. ზარალი 10,000 მანეთისაა.

◆ **ლექციების კითხვა.** დღეიდან სამასწავლებლო ინსტიტუტის შენობაში (დიდის მთავრის ქ., № 9) ქალთა უმაღლეს კურსების ლექტორები წაიკითხავენ ლექციებს. კვირაობით წაიკითხავს ნ. დუბაროვსკი: „მე-XIX საუკუნის უმთავრესი საზოგადოებრივი და პოლიტიკური მოძღვრებანი“; ორშაბათობით—გ. ბარაჩი: „ადამიანის წარმოშობა და მისი მდგომარეობა ისტორიის წინა ხანებში“; სამშაბათობით—ლ. იშკოვი: „უმთავრესი მიმართულებანი მე-XIX საუკუნის დასავლეთ ევროპის ლიტერატურისა“; ოთხშაბათობით—ტ. მარქარიანი: ეთიკა (ზნეობის მეცნიერება); პარასკეობით—პროფ. ვაზანსკი: ბიოლოგიის შესავალი (ცოცხალ არსებათა მეცნიერება) ლექციები დაიწყება საღამოს 8 საათ.

გორი.

მაზრის უფროსი შემოტანილ შეშას განსაზღვრულ ნიხრზე აყიდინებდა. შეშის შემოტანა ამის გამო ნელნელა სწყდებოდა და ამ ბოლო დროს თითქმის სრულიად არ შემოაქვსთ.

20 თებერვლიდან, გორის სამეურნეო საზოგადოების გამგეობა გახსნის სამეურნეო კურსებს. ლექციები იქნება წაკითხული დილით და საღამოთიც. ვისაც დილით არ შეუძლიათ მოისმინონ ლექციები, ეხლავე უნდა განაცხადონ.

— 8 თებერვალს სადგურ ქარელში, იმ დროს, როცა მატარებელი დაიძრა ბათუმისაკენ, ჩამოვარდა კონდუქტორი ქალი და მატარებლის თვალმა მარჯვენა კლავი მოსჭრა. კონდუქტორი ქალი იმავე მატარებლით ხაშურში წაიყვანეს.

ოზურგეთი.

25 თებერვალს ქ. ოზურგეთში ოზურგ. თავისუფალ ცეცხლის მქრობელი რაზმის სასარგებლოთ გაიმართება საღამო, რომლის დიასახლისობა იკისრა ქ-ნმა ნადეჟდა იესეს ასულმა გოგიტიძისამ. ხსენებული საზოგადოება ჯერ სულ ნორჩია, მაგრამ ოზურგეთისათვის ფრიად სასარგებლოა, მის თავმჯდომარედ ბრძანდება თავად აზნაურობის წინამძღოლი თავ. ქ. დ. ერისთავი, გამგეობის წევრებად არიან ვაჭრები, რომლებიც მხურვალეთ ეკიდებიან საზოგადო საქმეს. სრული იმედია საღამოს კარგი შემოსავალი ექმნება.

ჭიათურა.

კვირას 19 თებერვალს სახალხო უნივერსიტეტში წაკითხული იქნება ბ. ირემაშვილის ლექცია კოოპერაციის შესახებ.

ომში

(მოკლულნი, დაჭრილნი და დაჯილდოვებულნი).

თბილისის მერვე ლაზარეთში 4-დან ვიდრე 11 თებერვლამდე მოუთავსებიათ შემდეგი დაჭრილი და დაავადმყოფებული ჯარის კაცები: კონდრატი ჩიხლაძე (ოზურგეთის მ. სოფ. ბაღდადი), ბესარიონ გაბრიჩიძე (შორაპნის მ., ყაველაშვილების სოფელი), მალაქია გაბრიაძე (ქუთაისის მ ს. ბცხურკეთი), გიორგი გაბუნია (სოხუმის ოლქი), ნიკოლოზ კიკნაძე (შორაპნის მაზ. სოფ. ბეისი), ევგენი კობაძე (რაჭის მ. სოფ. ძეგლევი) მიხეილ ბერუაშვილი (დუშეთის მ. სოფ. იზხეთი), ლაზარე პაპიშვილი (თელავის მ. სოფ. ძველი გავაზი), გიორგი ჭინჭაძე (ქუთაისის მ. სოფ. მუხანყრუა), ეფრემ ბურდული (დუშეთის მ. სოფ. ჩართა), ლავრენტი ხუბუა (სენაკის მ. სოფ. უშაფათი), გაბრიელ ჯაფარიძე (ქუთ. მ. სოფ. ფერსათი), ლავრენტი მადიჩარიძე (შორაპნის მ. სოფ. კორბოული), იასონ კაპანაძე (გორის მ. სოფ. აბისი), პავლე ცეცხლაშვილი (თელავის მ. ს. შინდი), იუსტინ გამსახურდიაშვილი (შორაპნის მაზრიდან) ვასილ ლოლაძე (შორაპნის მ. ს. არგვეთი) და ისაკ სურგულაძე (ოზურგეთის მ. სოფ ლიხაური). ამავე ლაზარეთში გარდაიცვალნენ: ალექსანდრე თაბაგარი (შორაპნის მაზ. სოფ. შროშა) და დიმიტრი გარგანია (სოხუმის ოლქი, სოფ. ნარაველა).

თბილისის ლაზარეთებში მოიყვანეს შემდეგი დაჭრილი და ავადმყოფნი: ექიმი ვას. ი. მაჭავარიანი, პორუჩიკი პავლე ხარაძე და პრაპორშჩიკი გიორგი რუხაძე.

ებოძათ: პოდპოლკოვნიკობა კაპიტან ნაცვლიშვილს; კაპიტნობა შტაბს-კაპიტანს აჩნაბაძეს; შტაბს-კაპიტნობა პორუჩიკებს არჩილ ჯიმარჯიძეს და დონისე გურგენიძეს, პორუჩიკობა პოდპორუჩიკს გვასალიას. პოლკოვნიკობა თ-დ გარდაფხაძეს; კაპიტნობა ნოზაძეს; შტაბს კაპიტნობა ფარეიშვილსა და ლამბაშიძეს; პოდპორუჩიკობა გენადი ნემსიწვერიძეს, ლეონტი წულეისკირს, აკაკი ჰანტურიას, ტიმოთე მგალობლიშვილს, იოსებ ჭინჭარაძეს; ორდენი წმ. ვლადიმერისა მე-4 ხარისხისა: პოდპოლკოვნიკ ივანე ჩიჯავაძეს და პრაპორჩიკს ერეკლე ჟორდანიას (ტყვეთაა ავსტრიაში); როტმისტრობა—გიორგი სულხანიშვილს.

შენიშვნები

II

შეგნება კულტურულ საზოგადოებრივი თუ ეროვნული?

წინა წერილში მოვიხსენიეთ საზოგადოებრივის შეგნების უარყოფითი ელემენტები ჩვენი ერისა. ეხლა კი ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ საზოგადოებრივი შეგნება ჩვენში უნდა უთუოდ უახლოვდებოდეს ეროვნულს. ვინც მტერია პირველისა, მტერია უკანასკნელისა და წინაუკმო. საზოგადოებრივი და ეროვნული ერთიმეორის შევსება და დამატებაა. პირველი მარტივი შეგნებაა საერთო ცხოვრებისა, მეორე დაგვირგვინებაა, უმაღლესი საფეხურია ასეთის შეგნებისა. ჩვენში მეტად უყვართ ზოგადკაცობრიულის პრინციპებით ხელმძღვანელობა, როცა მსჯავრსა სდებენ რომელსამე საზოგადოებრივის ხასიათის მოვლენას. ეროვნული და ადგილობრივი დაგმობილია და შერჩენებული მხოლოდ იმ მოსაზრებით, რომ შედარებით პატარა ერთეული, როგორსაც წარმოადგენს დღევანდელი წვრილი ერი, ვერ აღწევს სავსებითათ კაცობრიობის მიერ მიღწეულ კულტურულ დონესაო. რამდენად მართალია ასეთი შეხედულება და ან რას გვეუბნება ქართველ ერის მდგომარეობა აწმყოსა და წარსულში?

ჩვენი სამშობლო პირველად კი არ განიცდის მასზე მძლავრ სახელმწიფოს გავლენას. სპარსეთი, ოსმალეთი, არაბეთი, ბიზანტია და თვით რომი—აი რა სახელმწიფოთა უღელ ქვეშ უხდებოდა მას ცხოვრება და ბრძოლა დაკარგულ თავისუფლების დასაბრუნებლად. როგორც ვიცით, ასეთი ბრძოლა არაერთხელ დამთავრებულა ბრწყინვალე გამარჯვებით. მეთორმეტე საუკუნეში ჩვენი სამშობლო ჰყვაოდა იმიტომ, რომ მას ჰქონდა თავისუფლება. თამარ მეფის ხანის მოგონებაც საკმარისია, რომ წარმოვიდგინოთ კულტურულ შემოქმედების სიძლიერე ქართველ ერისა. მას შემდეგ საქართველოს ბედის ჩარხის ტრიალმა მიგვიყვანა იმ საფეხურამდის, რომ გვირგვინოსანი ერი გვირგვინოსან მეფითურთ ჩრდილოეთით მიაპყრობს გულისყურს და იძულებით ამბობს უარს თავის სრულ დამოუკიდებლობაზე. ფიზიკურად ჯანგატეხილი ერი უხმობს სხვას დახმარებისათვის. ამ აქტში მოსჩანს თავის გადარჩენის წყურვილი, ხოლო სულიერ კულტურას ამით ოდნავ არ ადგება აჩრდილი. სწორედ ამ შეგნებით შევიდა ქართველი ერი სლავთა დიდ ტომის ერთმორწმუნე სახელმწიფოს მფარველობის ქვეშ. რა ვუყოთ, რომ ქართველ ერსაც ბედმა არ გაუღიმა, აქ მან სასწორზე დასდო ეროვნულ კულტურის ბედი და თუ არ დაჰღუპა, მხოლოდ იმიტომ, რომ, ალბად, ძლიერი ყოფილა მასში მთელის წარსულის მიერ ნაანდერძევი ძალა და მოგონება. თითქოს განგებ და დაჟინებითო, ქართველი ერი მე-XIX საუკუნის მეორე ნახევარიდან შეუდგა საზოგადოებრივის ცხოვრებისათვის ფრთების გაშლევინებას. მე 60 წლებს მოჰყვა მე-90, ხოლო ამ უკანასკნელს 1905 წელი და სხვ... ვის შეუძლია დაამტკიცოს, რომ მე-60 წლებში ქართველ ერს არ ჰქონდა შემუშავებული საზოგადოებრივი იდეალიო? არავის, რადგან თუ მეტს არ მოვსთხოვთ იმ დროის მოღვაწეებს, ეს მათ უცილობლად ჰქონდათ და გააჩნდათ. ბ-ნი პ. გელეიშვილი ილია ჭავჭავაძის შესახებ ლექციაში ამტკიცებდა, რომ მე-60 წლებში ქართველ ერს არ ჰქონდა გამომუშავებული საზოგადოებრივი იდეალიო. ეს მართალი არ არის, ვინაიდან მე-60 წლებში არსებობდა ბრძოლა ორ თაობათა შორის, და სადაც ბრძოლა და აზრთა წინააღმდეგობაა, იქ საზოგადოებრივი შეგნებაც უნდა ყოფილიყო. ბ-ნი გელეიშვილი მხოლოდ გათამამდა და თანამედროვე ვითარების თვალითა სჯიდა ნახევარ საუკუნის წინად მომხდარ მოვლენებს. ვინ იყო თვით ილია ჭავჭავაძე? განა ის პირველი განათლებული პირი არ იყო, რომელმაც მე-60 წლებში თამამად აიღო ხელში დროშა საზოგადოებრიობისა და გარს შემოიკრიბა იმ დროის ნორჩი ქართველი ახალგაზრდობა? ვინ იყო, რომ იბრძოდა ჩვენი ენის გაფაქიზება-გასამშვენიერებლად? ვინ იყვნენ „თერგდალეულები, ურწმუნონი, ცრუ-პატრიოტნი და ცრუ-ფილოსოფოსნი“ და რამ შექმნა ასეთი უცნაური კილო სალიტერატურო კამათისა იმ დროს, როცა, როგორც ბ-ნი გელეიშვილი ამბობს, ქართველ ერს არ მოეპოვებოდა საზოგადოებრივი იდეალიო? მოეპოვებოდა, როგორ არა, მაგრამ ეს იყო მხოლოდ “საზოგადოებრივი იდეალი“ და არა ის, რასაც ჩვენ დღეს ეროვნულს ვეძახით. უდიდესი ნაკლი, რაც შეგვიძლია მე 60 წლების მოღვაწეთ მივაკუთვნოთ, იყო ქართველ ერის საკითხის წამოუყენებლობა იმ მნიშვნელობით, როგორც ეს სოლომონ დოდაშვილს და სხვა მის ამხანაგებს ესმოდათ. მაგრამ აქაც შესაძლებელია ჩვენვე უკან დაგვიბრუნდეს ბრალდება, რადგან ქართველ გლეხკაცობის მაშინდელი მდგომარეობა ისეთი იყო, რომ მხარს ვერ დაუჭერდა საზოგადოებრივის ხასიათის მოძრაობას, ხოლო ინტელიგენციას კიდევ თვალწინ ედვა გაცრუებული იმედები 1832 წ. შეთქმულობის პოლიტიკურ რომანტიკოსთა და თვით დიდის პოლონეთის საუკეთესო მამულიშვილთა. ქართველი გლეხკაცობა ორ ცეცხლ შუა იმყოფებოდა. ერთის მხრით მას ავიწროებდა უცხო ძალის სახელმწიფო მოხელეები, ხოლო მეორე მხრით მებატონეთა უღელი უმძიმდა ბატონ-ყმობის საშინელების მოწამეს. აქაც იგივე სურათი წარმოგვიდგება, როგორიც ახასიათებს ჩვენებურ უქნარ ელემენტებს თვით მე XX საუკუნის პირველ ნახევარშიაც კი. ორგვარ შეგნების გულში ტარება ისე, რომ ერთი მეორეს არ ანაცვალო, სამძიმოა დღევანდელ საშუალო შეგნების ადამიანისათვისაც და რა იქნებოდა ის მაშინ, როცა ქართველ გლეხს ჯერ კიდევ თავი ვერ დაეღწია პირუტყვულ მდგომარეობისათვის? ამ დროს გამოდის ი. ჭავჭავაძე და მისი ჯგუფი და ამტკიცებენ საზოგადოებრივობას, ნიადაგს უმზადებენ ქართველ ერში უფრო ფართე შეგნების დამყარებას.

განსვენებული ა. ხახანაშვილი ეგ. ნინოშვილს ლიტერატურაში ილია ჭავჭავაძის რეალისტური სკოლის მოწაფედა სთვლის. უნდა აღინიშნოს, რომ ეს მემკვიდრეობა ნინოშვილის მიმდევრებმა საზოგადოებრივის ბრძოლის ფარგალშიაც გადაიტანეს და პოლიტიკაშიაც მხოლოდ სოციალ ხასიათის საკითხებს მიაქციეს მთავარი ყურადღება. თუ ილია ჭავჭავაძემ ვერ მოახერხა საქართველოს ეროვნული საკითხის დეტალების შემუშავება, რასაც ხელი შეუშალა იმ გარემოებამ, რომ ის ერთის მხრით ქართველ კარამზინობას ეწეოდა და, მეორეც, ქართველი გლეხის სოციალური მდგომარეობა მაშინ ამისთვის არ იყო ხელსაყრელი, დასელებმა მე 90 წლებში ჭარბად ისარგებლეს მე-60-თა გამშვენიერებულ-გაფაქიზებულ ენით და თავიანთი ძალა და გავლენა მხოლოდ სოციალიზმის ახალ მოძღვრების ქადაგებას მოანდომეს და ამით აღინიშნეს პირველი საჯარო გამოსვლა. ამ ქადაგებასა და გამოსვლაში ვერ იქმნა გასწორებული მე 60-თა ნაკლი ეროვნული იდეალის შეუმუშავებლობისა. პირიქით, მე-90 წლებში ჩვენ საქმე გვაქვს გაშიშვლებულ საზოგადოებრიობასთან, თუ შეიძლება ასე ვუწოდოთ დასელთა მიერ ნაქადაგებ მოძღვრებით გამოწვეულ მოძრაობას ჩვენში. ამ მოძრაობაში ჩვენ ვერ ვამჩნევთ ნატამალს ეროვნულის მხრით საზოგადოებრივის საკითხების გაშუქებისას. ქართველი ერი ვერ იქნა და ვერ გამოირკვა სიდათას ძილისაგან. ცხოვრების ყოველ მხრივი გაგება და შემეცნება ძნელი აღმოჩნდა. ცალმხრივი გაგება კი ქართველ ერს ჯვარედინ გზაზე აჰყოფებდა და საფრთხეს უმზადებდა მის წესიერ უზრუნველ განვითარებას. ამ მდგომარეობაში იყო ქართველი ერი იმ დროსაც, როცა საქართველოს სხეულს სრულიად მოულოდნელად წილად ხვდა დიდის რუსეთის სახალხო მოძრაობის მეტად მძიმე ტვირთის ზიდვა. ამ მოძრაობამ დაამტკიცა და ნათლად გადაგვიშალა არსებითი ნაკლი საზოგადოებრივ ბრძოლაში ეროვნულ ელემენტის მივიწყებისა და აბუჩადაც აგდების, მაგრამ იგივე ბრძოლა ჩაითვლება დასაბამად ქართველ ერში სრულიად ახალ აზრების გაჩენისა. დიდ სახალხო მოძრაობას დიდი შედეგიც უნდა მოეტანა. მართალია, ეს შედეგი არ იყო პოლიტიკური რასაც ესწრაფოდნენ ხსენებულ მოძრაობის მესვეურნი, მაგრამ კერძოდ ქართველ ერისთვის ის სხვა მხრივ დარჩა სასარგებლო და მეტად საყურადღებო. ამ დროიდან შეგნება საზოგადოებრივი ფართოვდება და ივსება ეროვნულის შეგნებით, ამიერიდან საზოგადოებრივის ბრძოლის მონაწილე ვეღარ ბედავს აბუჩად აიგდოს ეროვნული საკითხი, პირიქით, თავის სახელმძღვანელო პროგრამაში შეაქვს ის და, თუ პირველს არა, არც უკანასკნელ ადგილს უთმობს მას საზოგადო ხასიათის მოთხოვნილებათა მთელ რიგში. როგორ მოხდა ეს და რა იყო მისი ცალმხრივის შეგნების ასე საკვირველად გამობრუნებისა?

დ. არონიშიძე.

ეკონომიური ცხოვრება

მეცნიერული გამოკვლევა. არმავირ-ტუაპსეს რკინის გზის საზოგადოებას აზრად აქვს მოაწყოს მეცნიერული ექსპედიცია. ამ ექსპედიციას დავალებული ექნება ყუბანის ოლქის მთიანი ნაწილის შესწავლა, რომ საფუძვლიანად გამოირკვეს ამ ადგილებში აღმოჩენილ მადნეულობის—ქვანახშირის, რკინის, და მათი ხარისხი და რაოდენობა. აგრეთვე ექსპედიციას ევალება მინერალურ წყლების შესწავლაც. ექსპედიციას ხელმძღვანელობას გაუწევს ცნობილი გეოლოგი-აკადემიკოსი ანდრუსოვი.

—

ქაღალდის ფული.—ამ წლის იანვრამდის ევროპის სახელმწიფოებს გამოუშვიათ შემდეგი ბანკნოტები: რუსეთის სახელმწიფო ბანკს 9,340 მილიონ მანეთისა, საფრანგეთისას 17,514 მილიონ ფრანკისა, ინგლისისას 73 მილიონ გირვანქა სტერლინგისა, და გერმანეთისას 7,726 მილიონ მარკისა. ეს ქაღალდის ფულები ინგლისში ყველაზედ უფრო უზრუნველყოფილი ოქროთი. აქ ბანკნოტების სამი მეოთხედი ნაწილია ოქროთ დაფარული, საფრანგეთში კი მხოლოდ ერთი მესამედი ნაწილი.

სოფლის გაფრთხილება

ვინც იცის ჩვენის სოფლის გარემოება, დამეთანხმება, თუ რა აუტანელი პირობები შეიქმნა არსებობისთვის. ომში გაწვეული ვაჟკაცებით დაცარიელებულ სოფელს სიმშილი მოელის, მხვნელ-მთესველთა რიცხვი საოცრად შემცირდა; შემცირდა აგრეთვე მუშა საქონლის რაოდენობაც, უმაგალითო მძლავრი ომმა ბლომად იმსხვერპლა ცხენებიც და ხარ-კამეჩიც. ამას დაერთო ხშირი სეტყვა და მოუსავლობა საქართველოს კუთხეებში და ამ სტიქიურმა მოვლენამ კიდევ უფრო დააბეჩავა სოფლის ხალხი.

დღეს მთელს ამიერ-კავკასიას თვალი მიპყრობილი აქვს და ხელები გაშვერილი ჩრდილო კავკასიისკენ და იქიდან ელის სურსათით შველას და დახმარებას. არც ტყუვდება: ასი და ათასი ვაგონი დატვირთული ხორბლით, სიმინდით, პურის ფქვილით, შაქრით და კარტოფილით მოდის ყოველ თვიურად ბაქოს გზით და აკმაყოფილებს ჯარისა და ხალხის მოთხოვნილებას.

ჩვენ კიდევ იმედი გვაქვს, რომ, თუ რკინის გზათა გამგეობანი რიგზე მოაწყობენ სულადის გადან-გადმოტანის საქმეს, მაშინ საკმაო ფქვილს, სიმინდს და შაქარს მივაწვდით ხალხს მხოლოდ ამა წლის განმავლობაში, ე. ი. ახალ მოსავლამდე. შემდეგ კი საქმე გართულდება და მიიღებს არასასურველ სახეს. ჩვენში უკვე დამყარდა შემცდარი აზრი და ამიტომ ყველასა სჯერა თითქო ჩრდილო კავკასიაში სურსათის რაოდენობა იყოს ულეველი, თითქო ფქვილი, ხორბალი, სიმინდი და კარტოფილი იმდენია, რომ ბეღლებსა და სადგურებზე ლპებოდეს გადმოზიდვის ლოდინში.

ეს აზრი მართალი არ არის. ხუთ თვეზე მეტია, რაც ვიმყოფები ჩრდილო კავკასიაში, მოვლილი მაქვს ერთიანად თერგისა და ყუბანის ოლქები, სტავროპოლის გუბერნია, და ამიტომ შემიძლია დაბეჯითებით მოგახსენოთ შემდეგი: მართალია, დიდძალი პური და სიმინდია გადმოტანილი ამიერ-კავკასიაში ჯარისა და მცხოვრებთათვის, შეიძლება კიდევ გადმოიტანონ, მაგრამ ამ ჟამათ, ვისაც კი იქ ცოტა რამ გასასყიდი აქვს, ცდილობს აღარ გაჰყიდოს და შეინახოს საბოლოო სარჩოთ. ამიტომაც აიხნება იქ ფასების შესამჩნევად აწევა. მუშა ხელის სიცოტავის გამო, რო-

პირველი ცოლ-ქმარი და შემოქმედი*)

(ძველებური ამბავი)

შემოქმედმა არა-რაისაგან გააჩინა დედა-მიწის ბურთი და ჩამოაგდო უზარ-მაზარ სივრცეში.

გააჩინა ეს ბურთი ურიცხვ ვარსკვლავთა შორის და უბრძანა მზეს: გაათბე დღისით, მთვარეს კი როდესაც მზე მოშორდება, გაანათეო.

რაც დრო გადიოდა, განუსაზღვრელ მადლსა ჰფენდა შემოქმედი დედა-მიწას. დაატყო ზედ თავისი შემოქმედებითი ძალა, აუწერელი სიკეკლუცე აამწვანა და ააფერადა მისი მთა გორაკები და ვაკე-ჭალები. რომ მეტი სიკეკლუცე და სიმშვენიერე მიეცა დედა-მიწისათვის, გადმოუშვა ერთიდან მეორე მხარეს გარდამავალი მდინარეები, ალაგ ალაგ ამოაჩუხჩუხა ცივი და ანკარა წყაროები, პატარა კლდეებიდან გადმოაქუხა თვალწარმტაცი ჩანჩქერები და ნაკადულებად დააბნია ზურმუხტოვან ველებზე, შემდეგ მთასა და ტყეში გააჩინა სხვა და სხვა გვარი ცხოველები, როგორც თვინიერი შველი და ირემი, ისე მოსისხლე და გაამაყებული ლომ-ვეფხვი.

შემდეგ შემოქმედმა გააჩინა მოჭიკჭიკე ფრინველნი და უხვად გააბნია იგინი ცის სივრცეში, რომ ემღერნათ და ეკალობნათ შემოქმედისათვის ტკბილ-ხმოვანი ჰანგები.

დრო გადიოდა. შეუჩერებლად ჰრთავდა და ჰკაზმავდა ზეციერი ამ თავისს შეყვარებულ ქმნილებას.

ერთხელ გადმოჰხედა შემოქმედმა ზეციდან მრავალგვარად მორთულ დედამიწას და განიზრახა, ამ ძვირფას ქმნილებისათვის პატრონი გაეჩინა. აიღო მიწის მცირეოდენი გუნდა, შეაზილა ამ გუნდას სხვა და სხვა ცხოველების თვისებათა რამოდენიმე ნაწილი, მაგ. მოსისხლეობა ლომ-ვეფხვისა, ცბიერობა მელიასი, გაუტანლობა მგელისა და ამ აზელილი მიწისაგან გააკეთა თავისივე სახე, შიგ შთაბერა თავისი უკვდავი სული, შემოსა თავისი ღვთიურის ნიჭით და სახელად კაცი უწოდა.

ახალი ქმნილება გამოვიდა მოძრავი, მეტყველი, გრძნობიერი და შემოქმედმაც იგი ყველა თავისს გაჩენილზე უმეტესად შეიყვარა, აკურთხა ბუნების მეფედ, უბოძა მთელი ქვეყანება და დაამკვიდრა მასში.

კაცი, ბედნიერი იყო, განუსაზღვრელის სიხარულით ხარობდა. მაგრამ ერთხელ, მოწყენილმა და ავმასულმა ბოროტისამ საშინელის გესლით მოსწამლა გული კაცისა, გასაოცარი სიხარბე ჩაუდვა გულში. იგრძნო კაცმა აუტანელი წყურვილი უცნაურ სურვილებისა... მოიქანცა, ღონე-მიხდილი დაეშვა.

გადმოხედა შემოქმედმა კაცსა. შეებრალა თავისი გაჩენილი არსება, და გადასწყვიტა დაეხსნა ამ სატანჯველისაგან. ჩამოათვალიერა თავისი გაჩენილები, და პირველად მთვარეს შეახო ხელი და აიღო მისგან გაცვეთებული ელვარება. შეუერთა მას კვამლის სიმსუბუქე, ვარდის სიტურფე, ვაზის ცრემლი, ჰაერის ცვალებადობა, სუროს მოქნილობა, გაზაფხულის სიკეკლუცე, გარიჟრაჟის მღიმარობა და ცეცხლის სიცხოველე. ამათ მიუმატა სიმწარე ნაღველისა, სიტკბოება თაფლისა და შექმნა იმისაგან უმშვენიერესი არსება,—ქალი, და კაცს მისცა საჩუქრად. კაცი პირველადა ჰხედავდა საკვირველ არსებას და დანახვისათანავე შეკრთა. ჯერ უბრალო ჰაერი ეგონა, მაგრამ როდესაც დარწმუნდა, რომ ის მისივე მსგავსი სულიერი არსება იყო, მოხვია ხელები, მიიკრა გულზე და დაუწყო გაცხარებული კოცნა ..

დაიწყო კაცმა ახალი ცხოვრება ამ ახლად მოვლენილსა და უცხო არსებასთან.

ორთავე სიამოვნების მორევში ცურავდნენ. გაიარა ხანმა და კაცი თანდათან ირკვეოდა ღრმა ბურანისაგან. ეს, აქამდის მისთვის სათაყვანო არსება, ახლა თითქოს სხვაფერდებოდა—სხვანაირდებოდა!. აქამდის შეუმჩნეველ ნაკლს ახლა ატყობდა... ახლა, ლაპარაკიც, სიარულიც, ქცევაც სხვანაირი ჰქონდა!..

გაუმწარდათ ტკბილი ცხოვრება, და დაუწყო კაცმა შემოქმედს ხელგაპყრობით ვედრება: უკანვე მიიღე უფალო, ეს „ძვირფასი საჩუქარი“-ო.

შემოქმედმა ყურადღებით მოუსმინა კაცს ვედრება და ზეცით ბოძებული ზეცადვე აიტაცა...

დარჩა კაცი ისევ მარტოთ და დაიწყო დარდიანობა. ეს ქვეყანა მისთვის სრულიად დაცარიელდა, იგრძნო მეტად აუტანელი სატანჯველი და სულის ობლობა...

ამ აუტანელი მდგომარეობით შეწუხებულმა კაცმა დაუწყო შემოქმედს ვედრება და გამოსთხოვა უკანვე „ზეცის საჩუქარი“. შემოქმედი განურისხდა. მაგრამ რამოდენიმეჯერ განმეორებულ ვედრების შემდეგ დაუბრუნა...

კაცი ხელ-ახლად მივარდა ქალს, მოჰხვია ორივე ხელი და ხარბათ ჩაიკრა გულში..

გავიდა კიდევ ხანი... განახლდა ძველი უსიამოვნება და ცხოვრება ისევ გაუმწარდათ. ჩავარდა კაცი მეტათ გამოურკვეველ მდგომარეობაში. აღარ იცოდა როგორ მოქცეულიყო, რომ ეს ტვირთი დაწოლილი მძიმე უსიამოვნება თავიდან მოეშორებინა!..

ზენაარის ეშინოდა და დედამიწაზე კი მშველელი არავინ იყო.

რა ექნა? რა მოეხერხებინა?

გადასწყვიტა, ისევ ეთხოვა მეუფისათვის, რაც უნდა მომხდარიყო და რაოდაც უნდა დაჯდომოდა ეს თხოვნა, რომ უკანვე წაეყვანა ეს „რაღაც უცნაური ქმნილება“. ამ განზრახვით დაუჩოქა შემოქმედს, აღაპყრო მისდამი ორივე ხელი და შევედრა: ყოვლად ძლიერო შემოქმედო! რისთვის ჩამაგდე ამ აუტანელ სატანჯველში... რათ მომეც ეს უცნაური ქმნილება! რისთვის გამაცან მე იმისი სიტკბო-სიმწარე?! სრული ბედნიერი ვიყავ როდესაც არ ვიცნობდი.

ყოვლად ძლიერო შემოქმედო, მეტად უცნაური სურვილები აქვს ამ თქვენგან ბოძებულ არსებას, მეუბნება, ცით ვარსკვლავები მიკრიფეო, ღამით მზე სანთლად ენთოს და დღისით კი მთვარე გრილად უნდა აშუქებდეს ჩემს კარ-მიდამოსაო. კაცმა რომ სთქვას, გიჟი არ არის, მაგრამ ჭკუიდან გადამცდარსაც ძალიანა ჰგავს...

გევედრები, ზეციერო, მომაშორე, მომეც წინანდელი დამშვიდებული ცხოვრება.

შემოქმედი მიხვდა, რაც მოხდარიყო მათს შორის და განრისხებით ჩამოსძახა: გამშორდი თვალთა ჩემთაგან უბადრუკო! მარტოოდენ მარცხვენ და შეურაცმყოფ. რა უყავ ჩემი „ღვთიური ნიჭი“, სად დაჰკარგე ჩემ მიერ ბოძებული ზეციური მაღალი გონება... ძალა... სულგრძელობა!? რა უყავ... ან თვით სადა ხარ?!

— მეუფეო, შენ მიერ ბოძებულ სამკვიდრებელში ვარ; მაგრამ ნიჭი ღვთიური და ზეციური გონებანი წარმტაცა შენგან ბოძებულმა არსებამ... მე ფუტუროდა ვარ გაცხმარი, უსულო, უგრძნობარი!.. ყოვლად ძლიერო, მხოლოდ სულიღა შემრჩენია შენგან ბოძებული და წარიღე იგი ანუ განმაშორე ამ უცნაურ არსებას!..

კაცს ჯერ დასრულებული არ ჰქონ და უკანასკნელი სიტყვები, რომ შემოქმედმა კვალად განრისხებით ჩამოსძახა:

— დაიკარგე თვალთა ჩემთაგან, შე უბადრუკო შვილო! შენ მეფე ხარ ამ ქვეყნისა, შეურიგდი და შეირიგე ქვეყნიური მდგომარეობა და იცხოვრე! შემოიკრიბე ნიჭი, გონება, მეხსიერება და მოიხმარე იგინი!

მე იმიტომ გიბოძე ყველა ესენი, რომ შენვე მოეგვარებინა შენი ცხოვრება. და შენ კი ვერ მორიგებიხარ ერთ სუსტ არსებას! შეთანხმდით, შერიგდით და იცხოვრეთ! დედა-მიწას შრომა მიუძღვენით და იგი მოგცემსთ საზრდოს... მარად გახსოვდეთ შრომა, იმედი და სიყვარული. სასწორ-საზომი ხელში გეპყროსთ. მომწყვეს მიუწყეთ.. თქვენნი საქმენი და მოქმედებანი სასწორზე დადევით, სისწორით მიუწონეთ ერთი მეორეს და ეს საფუძვლად დაედება თქვენს დამშვიდებულ ცხოვრებას.

ხმა მისწყდა... კაცი გამოურკვევლობის ბურუსში გახვია, ერთს ალაგას გაქვავდა, სიზმარი ეგონა...

ოდეს გამოერკვა, ყურში მარტო უკანასკნელი სიტყვები და ესმოდა: სასწორი! სისწორით მიუწონეთ ერთი მეორეს, სასწორი დაედება საფუძვლად თქვენს დამშვიდებულს ცხოვრებასო“. მაგრამ სად არის სასწორი?! მართლა რა ძვირფასი იქნებოდა სასწორი! სასწორზე დასდევით საქმენი და მოქმედებანი თქვენნიო!...

ფიქრებში გართულმა ადამიანმა უგზო უკვლოდ დაიწყო ხეტიალი... დაუწყო სასწორს ძებნა და შეიძინა კიდეც. თვით შემოქმედმა უბოძა ორ ჯამიანი და სამ ძაფიანი სასწორი!.. სასწორის ერთი ჯამი ცოლს ეკუთვნოდა და მეორე ქმარს. იგი სამის ძაფით იყო შეერთებული ზეცასთან—მამით, ძით და სულის წმინდით... ულის ძაფზე თვით შემოქმედს ეკიდა ხელი და თვითონ სწონიდა იმ დროინდელ ადამიანთა მოქმედებას... და დედა-მიწა ცასთან შეთანხმებით მოქმედებდა...

ნოშრევან მერკვილაძე

---

*) „საქართველოს“ დამატების ამ წლის მე-3 ნომერში დაბეჭდილია არაბული ლეგენდა „შექმნა დედაკაცისა“. არ ვიცით, ეს ლეგენდა არაბულია, თუ ქართული. ძალიან კი ჰგავს ჩვენს ხალხში დარჩენილ ლეგენდას, რომელსაც ამასთანავე ვარდგენ.

ეს ლეგენდა მე გავიგონე სოფელ ჭალატყეში 1912 წელს უკვე ღრმად მოხუცებულ მიხეილ მერკვილაძისაგან; ამ უკანასკნელს თავის მხრით გაეგონა ჰქონია მოხუც პაპისაგან.

ნ. მ—ძე.

გორც ჩვენში, ახლა იქაც ნაკლებათ ხნავენ და სთესვენ, ამიტომ ცდილობენ უკვე მოწეული საზრდო შეინახონ შემდეგ წლისათვის

ამიტონ **სრულებით არ უნდა გვქონდეს ჩრდილო-კავკასიის იმედი** და ამის გამო ამ მოვლენას უნდა მიექცეს ჩვენი ხალხის, მეურნეების და საერთოდ ინტელიგენციის ყურადღება, უნდა მივიღოთ ყოველი ზომები, რომ **სოფლებში დაითესოს ბლომად პური, სიმინდი, ქერი, კარტოფილი და აგრეთვე გაკეთდეს ბოსტნები.** სოფლის სამღვდელოებამ და ინტელიგენციამ უნდა ჩააგონოს გლეხებს, რა საშინელი მომავალი მოელისთ მათ, თუ პური არ დათესეს, რომ მომავალში მათი დახმარება ჩრდილო-კავკასიიდან ფრიად გაძნელდება და თავიანთი ცოლშვილით გახდებიან ულმობელი სიმშილის მსხვერპლი.

აგრეთვე მამასახლისებმა, ღვდლებმა და კოოპერატივებმა უნდა მიიღონ შესაფერი ზომები და მოსპონ **სოფლად არყის გამოხდა**, რასაც სჩადიან თურმე ზოგიერთი უკულმართი პირები ან თვით არყის მხდელები უნდა გააძეონ სოფლიდან და შეარცხვინონ საჯაროთ.

ვიმეორებ კიდევ, **მდგოეარეობა მეტათ და მეტათ ხერიოზულია**; ამიტომ ჩვენი გულისყური ამას უნდა მივაქციოთ და უნდა შევიგნოთ, რომ დღეს **ჩვენი პატრონი ჩვენვე ვართ და არავის იმედი არ უნდა გვქონდეს.**

აგრონომი გ. ვ. დალაქიშვილი.

წერილი რედ. მიმართ

მ. ხ.

უმორჩილესად გთხოვთ თქვენის პატივცემულ გაზეთის უახლოეს ნომერში მოათავსოთ შემდეგი განმარტება:

საზოგადოება „კახეთში“ მომხდარ გაფიცვისა და უთანხმოების შესახებ რამდენიმე წერილი დაიბეჭდა „თანამედროვე აზრსა“, „სახალხო ფურცელსა“ და „საქართველოში“; მე როგორც ოფიციალი წარმომადგენელი საზოგადოებისა, ვალადა ვსთვლი მოვახსენო მკითხველ საზოგადოებას, რომ „სახალხო ფურცლის“ და „თანამედროვე აზრის“ ფურცლებზედ მოყვანილი ცნობები არ შეეფერებიან სინამდვილეს და ნამეტნავად საჭიროდა ვსთვლი უარვყო „სახალხო ფურცლის“ № 785, 786 და 787-ში მოყვანილი ცხრილები და ცნობები „საზოგადოება კახეთის მუშა-მოსამსახურეთა კომისიისა“, ვინაიდან მუშა-მოსამსახურეთა კოლექტიურმა გამოსვლამ გამგეობის წინააღმდეგ ყალბი ცნობებით, შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს მკითხველი ფართო საზოგადოება. 1) „კომისია“ სწერდა, რომ გამგეობის წევრებმა მიიღეს: „1914/15 წელს 5660 მან. და 1915/16 წ. 8850 მ. და მომატება 57 პროც. შეადგინსო.“

ეს ცნობა მართალი არაა; რადგან 1914/15 წელს საზოგადოებას ორი გამგეობის წევრი ჰყავდა და 1915/16 წელს კი სამი წევრი. ამიტომაც ჯამაგირების ჯამიც ამ ორის წლისა ერთიმეორისაგან თავისთავათ განსხვავდება. გამგეობის წევრებს ჯამაგირები მოემატათ მხოლოდ 1916 წ. მარტიდან და ისიც 20 პროც. გამგეობის თავმჯდომარეს და 25 პროც. წევრებს.

2) მოსამსახურეთ და მუშებს მოემატათ ჯერ კიდევ 1916 წლის მკათათვიდან 60—80—100 პროცენტამდე და მეტიც და 1917 წლის იანვრიდან განზრახული იყო კიდევ 15 და 20 პროც. მომატება, გარდა ინდივიდუალ წამატებისა. ამ რიგად თითეულს მუშას და მოსამსახურეს ეძლეოდა მომატებული არა ნაკლებ 120 პროცენტისა, ვიდრე ომამდე ჰქონდა და ზოგიერთს ერთი ორად, სამად და კიდევაც მეტად, როგორც სჩანს აქვე დართულ ცხრილიდან, სადაც მოგვყავს ცნობა, ყველა მუშა-მოსამსახურეზედ, რომელნიც ომამდეც იყვნენ.

მოსამსახურეთ.	ომამდე ჰქონდათ.	1916 წ. მკათათვიდან.	განზრახული 1917 წ. იანვ.
ბუხგალტ. .	150	259.21	316.25
მდივანს . .	100	152.61	175.50
მეკას. ქალს.	30	77.86	96.—
მეკან. ქალს.	40	77.86	97.75
ნოქარს. . .	24	70.61	84.73
ლგ. მიმღები ფულისა და კორესპონდ.	65	115.—	132.75
დამტარ. . .	60	95.11	109.37
	469	848.26	1011.85
ღვინო . . .	+25.60	—	—
	494.60	848.26	1011.85

ე. ი. 1916 წლ. მკათათვიდან მოემატათ საშუალოდ 71% და 1917 წლ. იანვრიდან 104,5%.

მუშებს.	ჰქონდათ.	1916 წ. მკათათვიდან.	ეხლა ჰქონდათ იანვრიდან.
პირველს	35*)	88,78	102,10
2-ს	35	70,38	84,46
3-ს	35	70,38	84,46
4-ს	35	70,38	84,46
5-ს	23	58,88	84,—
6-ს	38	70,38	84,46
7-ს	34	62,70	84,—
8-ს	25	57,73	69,27
9-ს	40	88,78	115,—
10-ს	38	70,38	84,46
11-ს	50	93,38	107,39
	388	802,15	984,06
საგნებით	46,20	26,40	26,40
სულ	434,20	828,55	1010,46

ამავე ცხრილიდანა სჩანს, რომ „სახალხო ფურცლის“ № 785-ში მოყვანილი ცხრილი ყალბია და საჭიროა შესწორება, რადგან „კომისიას“ გამოუტოვებია რამდენისამე მოსამსახურის ჯამაგირი, შეუცვლია ნამდვილად დანიშნული და ამ რიგად ხელოვნურად დაუწევია მომატებული პროცენტების რაოდენობა 45 პროცენტამდე. არც ის არის მართალი, ვითომ ჯამაგირები მიემატა თანამდებობას და არა პიროვნებას, რადგან ყველა მოსამსახურეს და მუშას მიემატა ჯერ კიდევ 1916 წლის მკათათვიდან 80—100 პრო მდე **თანამდებობის შეუცვლელად.**

„კომისია“ ამტკიცებს, რომ საზოგ. „კახეთის“ განყოფილებათა **მუშა-მოსამსახურენი სრულიად უყურადღებოდ არიან დატოვებულნი, რადგან შორს არიანო.** ეს არ შეეფერება სინამდვილეს: რაც ომი გამოცხადდა და ღვინით ვაჭრობა აიკრძალა, ჩვენი განყოფილებანი როსტოვში, ტაშკენტში და ასხაბადში—აღარ მოქმედობენ; ბათომისა და მოსკოვის განყოფ. გადაეცა კერძო პირებს და ერთად-ერთ დარჩენილ და მოქმედ განყოფილებაში, სახელდობრ ბაქოსაში მოემატა როგორც გამგეს, ისე მის მოსამსახურეებსაც.

„რ. გაბაშვილმა ოქტომბრიდან მარტამდე მიიღო ჯამაგირი ისეთ შრომისათვის, რაც მას არ გაუწევია“—სწერს „კომისია“. მე, როგორც თავმჯდომარე ვამოწმებ, რომ აღნიშნულ დროს განმავლობაში გაბაშვილი ასრულებდა გამგეობის წევრის თანამდებობას და იმავე შრომას ეწეოდა, როგორც სხვები და თუ სრული ჯამაგირი არ ეძლეოდა, მხოლოდ იმიტომ, რომ ხარჯთაღრიცხვაში არ იყო შეტანილი მესამე წევრის გასამრჯელო..

„კომისია“ ამტკიცებს აგრეთვე, რომ „გამგეობამ იმდენი საკითხი გადასწყვიტა კრების დაუკითხავად, იმდენი პირდაპირ საზარალო თვითნებობა გამოიჩინა პირადად ბ. გაბაშვილმა, კრებისა და გამგეობის დაუკითხავად, რომ“ და სხ.

გამგეობა ადასტურებს, რომ რ. გაბაშვილს თვითნებობა არაფერში გამოუჩენია და, რაც შეეხება გამგეობას, იგი ერთად და ცალცალკე მოქმედობს ყველაფერში საზოგადოების ინტერესებისა და მათდამი მინდობილი უფლების ფარგლებში და მისის შრომის სარგებლიანობის შეფასება არა მუშა-მოსამსახურეთა საქმეა, არამედ საზოგადო კრებისა და მათის ამომრჩევლებისა.

გამგეობა ყურადღებას მიაქცევს მკითხველისას იმაზედ, რომ „სახალხო ფურცლის“ № 793 მოყვანილი ცნობები ბ-ნ ს. დადიანისა, ვითომ **საგანგებო კრებამ დაადგინა არაფერი დაიბეჭდოს პრესაშიო,** სიმართლეს არ წარმოადგენს და არც ის არის მართალი, რომ ბ-ნი დადიანი „საზოგადოების კანტორის მოსამსახურე აღარ არის“, რადგან სხვა მოსამსახურეებსავით დღესაც იღებს განსაზღვრულ ჯამაგირს.

დასასრულ, გამგეობა საჭიროდ სცნობს აღნიშნოს, რომ საგანგებო საზოგადო კრებამ განიხილა მუშა-მოსამსახურეთა და გამგეობის უთანხმოებაზედ გამოიტანა შემდეგი მსჯავრი: „მოისმინა რა გამგეობის მოხსენება და მუშა-მოსამსახურეთა განმარტებანი, დაადგინა: კრება სცნობს გამგეობის მოქმედებას სწორად და მიზანშეწონილად“.

პატივისცემით საზოგადოება „კახეთის“ თავმჯდომარე **თ-დი ლ. ვაჩნაძე.**

P. S. ვთხოვთ „სახალხო ფურცლის“ რედაქციას, რომელმაც დაბეჭდა „მუშა-მოსამს. კომისიის“ წერილი, გადაბეჭდოს ეს წერილიცა.

---

*) ე. ი. 1916 წლ. მკათათვიდან 93% მოემატათ და 1917 წლ. იანვრიდან 127%.

დაბა-სოფლები

დ. ცხინვალი (გორის მაზრა). კვირას 19 თებერვალს დ. ცხინვალში გაიმართება დამფუძნებელი კრება ცხინვალის ნაწილის სახალხო მასწავლებელთა კავშირის ფილიალურ განყოფილებისა. ამ პატარა წერილით მივმართავთ ცხინვალის ახლო-მახლო სოფლებში მყოფ სახალხო მასწავლებლებს და მოვუწოდებთ დაესწრონ უეჭველად ზემოხსენებულ კრებას.

შეიკრიბნონ, იმსჯელონ როგორც თვის ეკონომიურ მდგომარეობაზედ, აგრეთვე ჩვენი სახალხო სკოლის ანორმალობაზედ; შეკავშირდნენ, რომ შეერთებული ძალით უფრო გაბედულათ ალუდგნენ იმ უკულმართ მიმართულებას, რომელსაც მთავრობის მოხელენი აწარმოებენ და სცდილობენ სკოლისა და მასწავლებლის გადაგვარების იარაღად გამოყენებას.

დროა თვით მასწავლებლებმა მიაქციონ ყურადღება ამ უკულმართობას; საჭიროა საზოგადოებას ეხსნილოს იმ მასწავლებელთა ვინაობა, რომელნიც ხელს უწყობენ პოლიტიკან მოხელეებს და ამრავლებენ გონებით მახინჯთ და უსარგებლო წევრთ საზოგადოებისას. დროა ერთხელ და სამუდამოთ ბოლო მოეღოს იმ აზრს, რომელიც არაერთხელ სმენია ქართველ საზოგადოებას და უკანასკნელ დროს კიდევ გაიმეორა გაზეთ „საქართველოში“ ილ. ალხაზიშვილმა, რომ ვითომ სახალხო მასწავლებელი ფლაქებიან მუნდირს და კოკარდიან ქუდს მოეხიბლოს და 30 და 40 მანეთის გულისთვის სამშობლოს ღალატობდეს, მის ინტერესებს მხარს უქცევდეს, მის კეთილდღეობას არ ემსახურებოდეს და პირ-იქით მტრობდეს კიდეც: უსარგებლო წევრებს უმზადებდეს საზოგადოებას. აქეთ ქართლის სხვა კუთხეებთან შედარებით ბევრი სასწავლებელია და კიდევ ბევრგან აპირებენ ახლების გახსნას; მალე თითქმის სოფელი არ დარჩება უსასწავლებლოდ და ამიტომ ფრიად საჭიროა ამ კრებამ მისცეს ამ სკოლების მასწავლებლებს ასე ვსთქვათ დარიგება, რჩევა, თუ როგორ უნდა მოიხმარონ თვისი მდგომარეობა, რომ ღირსეულად შეასრულონ თვისი დიდი მოვალეობა და პირ-ნათლად მოიხადონ ვალი საზოგადოებისა და სამშობლოს წინაშე.

სოსო.

პასუხად ბ. პეტრე მირიანიშვილს წერილის გამო

(იხ. „სახ. ფურც.“ № 706)

საქართველოს წარსულის მკვლევართაგანი მოღალატედ არავინ დაუსახავს ქართველ ერს, თუ კი რამ სარწმუნო და სასარგებლო შეუმჩნევია მას კვლევა-ძიებაში. მხოლოდ სათუო სათუოდ მიუჩნევია და ასეც უნდა მოქცეულიყო.

კბილის მატლად ნ. მარი არავის გადაუქცევია და თუ მისი საწინააღმდეგო ვინმემ რამე სთქვა, ისევ თვითონ მარის წყალობით; თვითონ მარია დამნაშავე.

25 წელიწადზე მეტია, რაც ბ. მარი იკვლევს ვეფხვის ტყაოსანს, ორი შრომაც უძღვნა ამ პოემას:

1. „Древне грузинскіе одописцы (XII в.), I. Пѣвецъ Давида строителя. II. Пѣвецъ Тамары“.
2. „Вступительныя и заключительныя строфы витязя въ Барсоовой кожѣ Шоты изъ Рустава“.

აი, ეს ორი უტყუარი საბუთი იმისა, რომ ნ. მარის მეცნიერულ გამოკვლევით რუსთაველი ქართველი ქრისტიანია და თამარის კარის მწერალი. სამეცნიერო ასპარეზზე გამოსვლიდან 1916-ტის წლის დამლევამდე ამ აზრის ბრძანდებოდა ბ. აკადემიკოსი და შემდეგ კი იცვალა ფრონტი. ბრძანებს: ჩვენი თეორია მოძველდა და შესწორება ესაჭიროებაო.

თუ მეცნიერება მოძველდა და განახლება ესაჭიროება, ცხადია, რომ ამნაირი მეცნიერება მეცნიერებად არ ჩაითვლება. თქმა იმისა, ასე ვამტკიცებდი, მაგრამ სულ სხვანაირად სდომებია მტკიცება და მაშინ ვერ მივხდიო, ნდობას უმცირებს მისს შრომას და პიროვნებას. ოცდა-ხუთ წელიწადზე მეტია, რაც ბ. მარი იბრძვის და ამტკიცებს, ჩემი თეორია რუსთველის შესახებ ჭეშმარიტებაა და ხმის ამოუღებლივ მიიღეთო. დღეს კი უარყოფს თვითონ და ბრძანებს: ისე არ არის, როგორც წინად ვამტკიცებდიო.

ძნელი დასაჯერებელია, ბ. პეტრე, ვითომ აღმოსავლურ მუსულმანურ კულტურას შეექმნას და აღორძინებინოს ქართული კულტურა და ლიტერატურა მე-13 და მე-14 საუკუნეებში.

თურქებს (ოსმალოს) აყვავებული მცირე აზია ჩაუვარდათ ხელში და მათ მოსპეს მისი ძველი კულტურა და ქვეყანა გააუდაბნოეს, ვერანად აქციეს. თუ ისინი კულტუროსანნი იყვნენ და მე XIV საუკუნეში საქართველო გააკულტუროსნეს; სტამბოლის აღების და იქ გაბატონების შემდეგ მათი კულტურა უნდა უფრო გაძლიერებულიყო. მაგრამ ამას, სამწუხაროდ, სრულებით ვერა ვხედავთ. ახლა გვიბრძანეთ, ბატონო, რა იქმნა თურქების კულტურა? სად გაქრა?

უფრო მეტს დაუჯერებლობას ჰბადებს იმისი თქმა, ვითომც იმერელ-გურულები გაქართველებული სომხები იყვნენ.

საეჭვოა ბ. პეტრე, ისიც, ვითომ სომეხთა მოქალაქობრიობის და საეკლესიო კულტურის ნანგრევებზე მესხეთში აღორძინებულიყოს ქართლის კულტურა და მისის მეოხებით ქართლი სწავლა-განათლების და მოქალაქობრიობის აკვნად გადაქცეულიყოს!

მართალია, მესხეთი კულტურის და განათლების კერა იყო თავის დროზე, მაგრამ აქ სომხობა რა შუაშია! თვითონ ქართველებმა მოამზადეს ნიადაგი და შექმნეს ეს კულტურა.

რაც შეეხება გრიგოლ სომეხთა განმანათლებელს, მას მართალია, პატივით იხსენიებენ ქართველები, მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, ვითომ ის ქართველების სულის ჩამდგმელი იყოს. სომეხთა ისტორიკოსები წ. ნინოსაც პატივით იხსენიებენ და ასწერენ მისს მოციქულებრივ მოღვაწეობას, რაც ჩვეულებრივი მოვლენაა. ქ. ლექსიკონში ხშირად მოიპოვება საერთო სიტყვები არაბულთან, სპარსულთან, სომხურთან, თათრულთან და სხვა... პირველ ორს რო თავი დავანებოთ, განა შეგვიძლია გადაჭრით ვსთქვათ, ჩვენ მათგან ვისესხეთ, თუ მათ ჩვენგან? ანუ რაღა საცოდავმა ქართველებმა ვისესხეთ ყველასაგან და ჩვენგან არავინ!

ჩვენ ვცდებით, როდესაც საერთო სიტყვას ხან სომხურს ვუწოდებთ და ხან თათრულს და ხან სხვას. უნდა ვსთქვათ: სომხურადაც ესეა, თათრულადაც ესეა და სხვა. ეს უფრო მართალი იქნება, რადგანაც ჯერ-ჯერობით არ არის გამოკვლეული, რომელი ხალხი ადრე გაჩნდა, სომეხი თუ ქართველი და სხვა,..

ბ. პეტრე! თქვენა ბრძანებთ: „თითქოს ანგარიშ გასაწევ არ იყვეს ჰიპოთეზა დ. კარიჭაშვილისა, რომელიც ვეფხის ტყაოსნის ავტორს არა სთვლის მისი წინასიტყვაობის ავტორადო“.

უნდა მოგახსენოთ შემდეგი: დ. კარიჭაშვილის ჰიპოთეზი“ არავითარ სარწმუნო საბუთზე არ არის დამყარებული, ეს მარტოოდენ მისი პირადი მოსაზრებაა და მეტი არაფერი.

ბ. პეტრე, დიდ გაბედულობად უნდა ჩაითვალოს, როდესაც კაცს საბუთი არ აქვს და ასეთ საძნელო საკითხს აიკვიატებს. როგორ უნდა გაუწიონ ანგარიში, როდესაც არც „ვარიანტს“ ასახელებს ბ. დავითი უშესავლოდ და არც შესავლის ავტორს!

ბ. პატივსაცემო პეტრე, მართალია, „ვეფხვის ტყაოსანში“ არც რუსთველი და არც ვინმე მესხი არ ამბობს, სჯულით ქრისტიანი ვარო; მაგრამ არც იმას ამბობს, რჯულით მუსულმანი ვარო (მაჰმადიანი).

თუ შოთას სახელის და მისი ვინაობის გამოკვლევა მკვლევარებმა დაუკავშირეს მცირე აზიის ხალხების გამოკვლევის ისტორიას, რომელიც სიბნელით არის მოცული და უმეტეს შემთხვევაში „ჰიპოთეზზე“ დამყარებული, ძლიერ შორს წაგვიყვანს ესა და შესაძლოა, გაშუქების მაგიერ უფრო დავაბნელოთ საკითხი.

ზოგნი ბრძანებენ, ნ. მარი ურიგოს არას ჩაიდენს და გადაჭრით არ იტყის იმას, რაშიაც მტკიცედ დარწმუნებული არ არისო. მაგალითები სულ სხვას გვეუბნება, ამიტომ ამ ბატონების აზრსა ჭეშმარიტებად ვერ მივიღებთ. ქართული ანდაზა: „ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო“. ეს „ფიცი“ გახლავთ ნ. მარის მიერ 25 წლის განმავლობაში „ვეფხვის ტყაოსნის კვლევა-ძიება და „ბოლო“ დღეს უარყოფა მის მიერ უკვე ჭეშმარიტად აღიარებულისა.

გ. იმნაიშვილი.

შემოწირულება

აბაშის სოფლის მცხოვრებთა მინდობილებით დიდს მადლობას ვუცხადებთ ბ. ლევან პეტრეს ძე პერტენავას, რომელმაც კეთილი ინება და ათას ასი მანეთი შემოსწირა: ათასი მანეთი ეკლესიის შესაკეთებლად და ასი მანეთი აბაშის სოფლის ღარიბ სამკითხველოს სასარგებლოდ.

სამკითხველოს გამგეობის თავმჯდომარე **ირ. თოფურიძე.**

შეცდომათა გასწორება

გუშინდელ წერილში: „მთავრობა და ხათაბირო“ დაბეჭდილია: იგი უფრო დევს მიაგავს.

უნდა იყოს: იგი უფრო მთვლემარე დევს მიაგავს. დაბეჭდილია: ინერციის დამრღვევი გარეული ქ სტი რუსეთის სხეულმა მიიღო და მოძრაობის ბორძილზე შეაყენა. უნდა იყოს: ინერციის დამრღვევი პირველი ქისტი რუსეთის სხეულმა მიიღო და მოძრაობის ბორბალზე შესდგა. დაბეჭდილია: ან ანგარიში არ გაუწია, ან პირში წყალი ჩაიგუბა. უნდა იყოს: ანგარიში არ გაუწია, პირში წყალი ჩაიგუბა.

ა. ახათიანის წერილში, „ნიმუში საქმიანობისა“, დაბეჭდილია: ასეთი შეკავშირებული ძალა ყველაზე მეტად ესაჭიროება. უნდა იყოს: შემაკავშირებელი ძალა. შემდგომ უნდა იყოს: ეკონომიურ ვითარების დაჩქარებული განვითარება და აყვავება მხოლოდ მსხვილ კაპიტალის ძალით შეიძლება. უნდა იყოს აგრეთვე: ჩვენ ჯერ კიდევ ვერ შევრიგებივართ იმ მოსაზრებას, რომ საჭიროა ყოველგვარ საქმის მეთაურად და სხ.

რედაქტორ-გამომცემელი
სანდრო შანშიაშვილი

ამიერ-კავკასიის რკ. გზის

მატარებლების მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია თბილისის)

თბილისიდან გადის:

ბათუმისაკენ	საფ.	№ 3,	11.03	დილ.
„	სამგზ.	№ 9,	10.33	საღ.
ბორჯომისაკენ	სამგზ.	№ 19,	3.20	დღ.
„	„	№ 17,	8.27	დილ.
გორისაკენ	სამგზ.	№ 61,	9.10	დილ.
ბაქოსაკენ	ჩქარ.	№ 6,	11.13	დილ.
„	სამგზ.	№ 8,	3.54	დღ.
„	საფ.	№ 4,	9.28	საღ.
ყარსისაკენ	სამგზ.	№ 4-3,	11.13	საღ.
თელავისაკენ		№ 4,	8 „ 58 „	დილ.

თბილისში მოდის:

ბათუმიდან	სამგზ.	№ 10,	9.52	დილ.
„	საფ.	№ 4,	8.38	საღ.
ხაშ.-ბორჯ.	სამგზ.	№ 20,	7.43	დილ.
„	სამგზ.	№ 18,	10.12	საღ.
გორიდან	სამგზ.	№ 62,	6.34	საღ.
ბაქოდან	საფ.	№ 3,	10.08	დილ.
„	სამგზ.	№ 7,	4.12	საღ.
„	ჩქარ.	№ 5,	8.48	საღ.
თელავიდან		№ 3,	6.24	საღ.
ყარს-ჯულფ.	საფ.	№ 3***,	8.10	დილ.

ხილეული, მადნეული წყლის მხმარებელი საზოგადოების ჯანმთელობის ინტერესი მოითხოვს: **მოითხოვონ და სვან ყოველთვის მხოლოდ მიტროფანე ლაღიძის** და ამხ-ს ქარხნის საუკეთესო ხილეულ მადნეულის ნამდვილი **სამკურნალო** წყალი და გაუფრთხილდენ, მის ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი ერთობ გახშირებულია და ხშირად შეცდომაში შეჰყავთ, მხმარებელი საზოგადოება, თავიანთი დაბალი ნაწარმოების **ყალბი** ეტიკეტების მიმსგავსებით **ნამდვილი ლაღიძის წყლის** ეტიკეტის ნიშანი შემდეგია

ქართულად თავმორთული ქალის სურათი, რომელიც დამტკიცებულია სავაჭრო სამრეწველო მინისტრის მიერ პეტროგრადში და თვით პრობკებსაც აწერია

„ლაღიძის წყალი“



მხოლოდ და მარტო ლაღიძის წყალია მომზადებული **სრულიად უვნებელის მაღალი ღირსების მასალებისაგან, ნამდვილი და საუკეთესო ხილის წვნით** და მასთანავე

სუნი და გემოც საამური აქვს

წლ.

თევზის მრეწველნი

ძმ. ძეგველოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახ., № 9, ტელეფონი № 712.

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „**ლ. მაილოვის-მით,** სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზილალა,** მცირე მარილიანი, შავი „**მუშოხნი**“ ხიზილალა. მივიღეთ საუკეთესო სალიანის შამაიები მუდმივ გვაქვს ცოცხალი თევზი. აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება

სუსუნატით (ჰონორეა)

ავადმყოფებს,

რომელთაც მრავალხნის განმავლობაში დიდძალი ფული დაუხარჯნიათ, მაგრამ თავის ავადმყოფობისათვის ვერა უშველიათ-რა, ეხლა საშუალება აქვთ საბოლოოდ განთავისუფლდნენ მისგან, თუ შეიძენენ ცნობილ საშუალებას „ურიტალს“, რომელიც სულ ცოტახანში არჩენს **გაარჯლებულ და ქრონიკულ სუსუნატს** საშარდე ბუშტისას, ჰაშებისას და სხვ.

რატომ

ზოგჯერ ავადმყოფები ყურადღებას არ აქცევენ ავადმყოფობას და იგი მთელს ტანში ვრცელდება?

იმიტომ, რომ,

ჯერ ერთი, დღეს დიდი კრიზისია წამლებისა.

მეორედ, იმიტომ, რომ მართლაც ძნელია ნამდვილ, რადიკალურ საშუალების გამონახვა.

მაგრამ ყველა ავადმყოფმა, ქალი იქნება თუ ვაჟი, უნდა შეიძინოს უებარი „ურიტალი“. სპეციალისტ-ექიმების დიდი ხნის გამოცდილებამ, აგრეთვე პროფესორებისამ, დაამტკიცა, რომ

ურიტალი

ნამდვილად არჩენს სუსუნატს. თითო ფლაკონი ღირს 3 მან. 50 კაპ. მთელი კურსი ეღირება 25 მან.

უფასოდ

გაეგზავნება ფოსტით დაწვრილებითი ბროშიურა რუსულ ენაზედ ვინც 10 კაპ. მარკას გამოგვიგზავნის. შეკვეთა და ცნობების მიღება შეიძლება მხოლოდ **პარიჟის საფარმაცევტო ლაბორატორიის თბილისის განყოფილებაში: თბილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა, № 16, განყ 6—1, სახელმწიფო ბანკის პირდაპირ.**

За заказами и справками обратиться въ **Тифлисское Отдѣленіе Парижской-Фармацевтической Лабораторіи Тифлисъ, Лорисъ-Меликовская, № 16,** отд. 6—1, напротивъ Государственнаго Банка.

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან

სტამბა „ცხოვრება“ ა. კანდელაკისა, გაზეთის შესახვევი № 4